სპორტი ბაზეთი

№30 (763)
ოთხშაბათი
11 სექტემბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.

წარმატებები, ბიჭებო!!!

ირაკლი კობახიძის „კამპანია „ჩემი ხმა“-ს შესახებ“

*

„კამპანია „ჩემი ხმა“, რომელიც უცხოური ფულით ფინანსდება, უხეშად უპირისპირდება საარჩევნო პრინციპებს. რეალურად, ეს არის საარჩევნო კამპანია და არა სადამკვირვებლო მისია. თქვენ შეგიძლიათ იხილოთ მათი საარჩევნო, სააგიტაციო მასალებიც, სადაც ისინი პირდაპირ აწარმოებენ აგიტაციას კონკრეტული ძალების სასარგებლოდ და კონკრეტული პოლიტიკური ძალის საწინააღმდეგოდ. ერთი უხეში დარღვევა არის ის, რომ საარჩევნო კამპანია ფინანსდება უცხოური ფულით და მეორე, საინტერესო არის ის, რომ ამ კამპანიაში არიან ჩართულები ე.წ. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები. ანუ, არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ფორმალურად პრეტენზია, რომ უნდა იყოს ნეიტრალური დამკვირვებელი და ამ დროს ის პირდაპირ არის ჩართული საარჩევნო აგიტაციაში, კონკრეტული პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ და კონკრეტული პოლიტიკური ძალის საწინააღმდეგოდ. ეს არის საარჩევნო პრინციპების უხეში დარღვევა და ამ უხეში დარღვევის უცხოური დაფინანსება არის დამატებით საარჩევნო პრინციპების დარღვევა. ზოგადად, სამწუხარო არის ის, რომ ეს არჩევნები წარიმართება უპრეცედენტო უცხოური ჩარევის ფონზე. კარგი არის ის, რომ ეს უცხოური უპრეცედენტო ჩარევა, რაც ეწინააღმდეგება საარჩევნო პრინციპებს, ვერ აისახება არჩევნების შედეგებზე,“- განაცხადა პრემიერმა.

*

„ყველამ იცის, რომ საფრთხეები არსებობს. აშშ-ის ხელისუფლებას გაუჭირდა პასუხისმგებლობის აღება საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ საფრთხეებზე და ჩვენი პოლიტიკოსების მიმართ საფრთხეებზე როგორ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა? ეს კითხვა-პასუხი აბსოლუტურად გაუგებარია. თუ ინფორმაციის მოძიება უნდოდათ, პირველ რიგში, საკუთარ საპრეზიდენტო კანდიდატზე და მის მიმართ არსებულ საფრთხეებზე უნდა მოეძიებინათ ინფორმაცია და ასეთ პირობებში მათ, რა თქმა უნდა, ვერ ექნებათ იმის ამბიცია, რომ ჩვენი პოლიტიკოსები დაიცვან ასეთი ტიპის საფრთხეებისგან. ამერიკულმა დაზვერვამ ვერ მოახერხა ამერიკის საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და ჩვენი პოლიტიკოსების მიმართ საფრთხეების იდენტიფიცირება როგორ უნდა მოეხერხებინა. კინაღამ მოკლეს კაცი. რაც შეეხება სანქციებს, ჩვენ არ ვსაუბრობთ აშშ-ზე, ჩვენ ვსაუბრობთ გლობალურ ომის პარტიაზე და ყველამ იცის, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი არის დე-ფაქტო სანქციის ქვეშ მას აქვს გაყინული 2 მილიარდი დოლარი ევროპაში. ეს სხვა არაფერია, თუ არა დე-ფაქტო სანქცია, რომელიც არის ამოქმედებული ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ. თუმცა, რა თქმა უნდა, ვერც ასეთი სანქციები და ვერც ისეთი სანქციები ვერ აიძულებს ბიძინა ივანიშვილს, გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც დაუპირისპირდება საქართველოს ძირეულ ეროვნულ ინტერესებს და აქ სასწორზე დგას მთავარი - მშვიდობა ჩვენი ქვეყნისთვის. ბიძინა ივანიშვილი არც ერთ შემთხვევაში არავითარი სანქციების და შანტაჟის ფონზეც არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც ქვეყანაში გამოიწვევს მეორე ფრონტს, ომს და ისეთ სცენარის განვითარებას, რომელიც სამწუხაროდ განვითარდა ჩვენს მეგობარ ქვეყანაში - უკრაინაში. არავითარი შანტაჟი და სანქცია მას არ და ვერ აიძულებს, გადადგას ნაბიჯები საკუთარი ქვეყნის ძირეული ინტერესების წინააღმდეგ“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ჯეიმს ო'ბრაიენის განცხადებებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე, რომლის თანახმად, აშშ-ს არ აქვს არანაირი ინფორმაცია ივანიშვილის წინააღმდეგ არსებულ საფრთხეებზე, პრემიერმა უპასუხა, რომ გაუგებარია, რატომ უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას ასეთ საფრთხეებზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ბიუჯეტიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ

*

„რაც შეეხება ორგანიზაციების თავისუფალ საქმიანობას, ამის მთავარი გარანტია იქნება გამჭვირვალობა. თქვენ იცით, პრობლემებს რა ქმნის სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებით, ქმნის ის, რომ ისინი არ არიან გამჭვირვალე და შესაბამისად, არ არიან ანგარიშვალდებული ქართველი ხალხის წინაშე, ქართული საზოგადოების წინაშე. ამისგან განსხვავებით, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც დაფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იქნება თავიდან ბოლომდე გამჭვირვალე. ეს არის პრინციპული განსხვავება. გამჭვირვალობის პირობებში საზოგადოება დააკვირდება, თუ რამდენად სწორად ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაციები და რეალურად რამდენად ხდება ამ ორგანიზაციების მიერ ეროვნული ინტერესების რეალიზება.

რაც შეეხება თავისუფლებას, თავისუფლება იქნება, რა თქმა უნდა, ამოსავალი წერტილი და განმსაზღვრელი პრინციპი, ამის გარეშე, იგივე რომ ავიღოთ კორუფციასთან ბრძოლა, ან ნებისმიერი სხვა ინსტიტუტების გაძლიერებასთან დაკავშირებული ამოცანები და ა.შ. თავისუფლების გარეშე ვერცერთის ამოცანა ეფექტიანად ვერ შესრულდება. იმის გამო, რომ კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა არ იყო გამჭვირვალე, არ ეძღვნებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ისინი სინამდვილეში იყვნენ დაკავებული პოლიტიკური საქმიანობით. აქ იქნება ყველაფერი განსხვავებულად, ორგანიზაციების საქმიანობა იქნება გამჭვირვალე, ამოცანები იქნება შესატყვისობაში სრულად საქართველოს ეროვნულ ამოცანებთან. აქედან გამომდინარე, ჩვენ დავნერგავთ თვისებრივად ჯანსაღ და განსხვავებულ პრაქტიკას, იმისგან განსხვავებულს, რაც იყო მანამდე დაკავშირებული ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასთან“, - განაცხადა პრემიერმა.

ლიბერალური ფაშიზმის შესახებ

*

„ლიბერალური ფაშიზმი უნდა დამთავრდეს საქართველოში და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ არჩევნების შემდეგ ლიბერალური ფაშიზმი საბოლოოდ დასრულდება...

...თქვენ იცით, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენელზე იყო ვერბალური თავდასხმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში და ეს ყველაფერი დასრულდა ფატალური შედეგით. ეს არის ლიბერალური ფაშიზმი და აქ არ შეიძლება არავითარი ორმაგი სტანდარტების დაშვება. სადაც ვხედავთ ორმაგ სტანდარტებს, სადაც ვიღაც იწონებს ფიზიკურ თუ ვერბალურ თავდასხმას ადამიანებზე, იქ უკვე ღრმავდება ასეთი პროცესები. შესაბამისად, ყველას მოვუწოდებ, ნუ იმოქმედებენ ორმაგი სტანდარტებით. ყველა ერთად უნდა ვებრძოლოთ საქართველოში ლიბერალურ ფაშიზმს, რაც არის აბსოლუტურად ისეთივე მიუღებელი იდეოლოგია და მიმდინარეობა, როგორიც იყო ბოლშევიზმი 100 წლის წინ“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კახა კალაძე საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების შესახებ

*

„სამწუხარო რეალობაა, რომ დღეს საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებსა და იმ რადიკალურ დაჯგუფებებს შორის, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებად მოგვევლინებიან, არანაირი ზღვარი არ არსებობს, - ასე უპასუხა თბილისის მერმა კახა კალაძემ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, საგარეო საქმეთა კომიტეტში დაგეგმილ იმ მოსმენასთან დაკავშირებულ შეკითხვას, სადაც ერთ-ერთი გამომსვლელი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დირექტორი ეკა გიგაურია.

„სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ მაგალითად, გიგაური ისაუბრებს საქართველოს მომავალსა და დემოკრატიაზე. გიგაური, როგორც ასეთი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია, მაგრამ რეალურად, ჩვეულებრივი პოლიტიკოსია. კიდევ ერთხელ გაიმეორებ, რომ დღეს საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებსა და იმ რადიკალურ დაჯგუფებებს შორის, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებად მოგვევლინებიან, არანაირი ზღვარი არ არსებობს. ეს არის სამწუხარო რეალობა“, - აღნიშნა კახა კალაძემ.

რაც შეეხება საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებულ ურთიერთობებს, თბილისის მერი აცხადებს, რომ მმართველი პოლიტიკური გუნდი თანამშრომლობისთვის მზადაა და აშშ-ისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდება.

„ჩვენ მზად ვართ მეგობრობისთვის, თანამშრომლობისთვის, პარტნიორობისთვის. ველოდებით, რომ ამისთვის კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას. კატეგორიულად მიუღებელია ის ცრუ პიარ კამპანია, რომელსაც ბოლო თვეების განმავლობაში ვისმენდით. ეს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს ეხებოდა, თუმცა, რეალურად რომ შევხედოთ, აღნიშნული კანონი უბრალოდ მოგონილი თემაა. რეალური პრობლემა და განაწყენება კი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საქართველო არ შეუერთდა სანქციებს. ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ არ დაგვეზარალებინა ჩვენი ქვეყანა და საკუთარი ხალხი; არ მივეცით შესაძლებლობა, რომ ქვეყანაში გახსნილიყო მეორე ფრონტი. ესაა რეალური პრობლემა იმ ურთიერთობების, რაც დღეს გვაქვს, თუმცა ყველაფერი დალაგდება, დამშვიდდება და დასტაბილურდება“, - განაცხადა დედაქალაქის მერმა.

„დინამო არენას“ სარეაბილიტაციო პროექტის შესახებ

*

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, „დინამო არენას“ სტადიონი გამართულად ფუნქციონირებდეს“, - ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მედიის მიერ დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

შეკითხვაზე, მიმართა თუ არა „დინამო არენას“ ადმინისტრაციამ თბილისის მერიას რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ რაიმე სახის ნებართვაზე, კახა კალაძის თქმით, მიმართვის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელშეწყობა იქნება.

„პროექტი როდესაც მზად იქნება, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანაირად ხელს შევუწყობთ. მართლაც მნიშვნელოვანია „დინამო არენას“ სტადიონის გამართულად ფუნქციონირება, რადგან ძალიან ბევრ გულშემატკივარს იტევს“, - აღნიშნა კახა კალაძემ.

„გემო ფესტი“ ზუგდიდში

*

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, ზუგდიდში, პირველად, 7-8 სექტემბერს „ გემო ფესტი“ გაიმართა. ფესტივალში ადგილობრივმა მზარეულებმა მიიღეს მონაწილეობა.

„გემო ფესტი“ სამეგრელოში პირველად გაიმართა. ზუგდიდში „გემო ფესტის“ მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, წარმოედგინათ ტრადიციული, იშვიათი და ნაკლებად ცნობილი მეგრული კერძები.

„გემო ფესტის“ ფარგლებში, ზუგდიდში, ბოტანიკურ ბაღში კვების ზონა, აგრობაზარი, საბავშვო გასართობი კუთხე მოეწყო.

„გემო ფესტის“ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დიდ ეკრანზე საქართველო-ჩეხეთის საფეხბურთო მატჩისთვის ეყურებინათ, მოესმინათ ჯგუფი მგზავრებისა და სხვა ქართველი შემსრულებლებისთვის.

„გემო ფესტის“ მიზანია საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი სამზარეულოს პოპულარიზაცია, მეწარმეების/ოჯახების ხელშეწყობა, შიდა და საერთაშორისო მოგზაურების ნაკადების ზრდა.

P.S. 1992 წელი, გაზეთი „ნაროდნაია პრავდა“.

ზვიად გამსახურდიას ინტერვიუდან: „ჩვენ ვესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურებად. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო. დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცრუ) აგენტისა და ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის ედუარდ შევარდნაძის მოსვლისა.

დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა – სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპულ ხალხს. ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთო ევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხი) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას.

მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში მსოფლიო მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე. წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიო წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა“.

ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ მესამე მსოფლიო ომთან ასე ახლოს

„ჩვენ არასდროს ვყოფილვართ მესამე მსოფლიო ომთან ისე ახლოს, როგორც ახლა – ეს საშინელებაა! ნახეთ, რა ხდება უკრაინაში – შედიან რუსეთში, რის გამოც შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს!“ – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა.

„დემოკრატიული პარტია გახდა ომის, ცენზურის, კორუფციის, დიდი ფარმაცევტული კომპანიების, დიდი ტექნოლოგიური კომპანიებისა და დიდი ფულის პარტია“, – საჯაროდ თქვა რობერტ კენედი-უმცროსმა.

კიდევ ბევრმა სხვა ამერიკელმა თითქოს ახლა გაიღვიძა და ახლა დაინახა რუსეთ-უკრაინას შორის ატეხილ ხოცვა-ჟლეტაში აშშ-ის როლი. როგორც ვხედავთ, ათი წელი დასჭირდა მათ აზრზე მოსვლას, რომ გაეაზრებინათ, რას ამბობდნენ ათი წლის წინათ:

დირკ მიულერი, გერმანელი ჟურნალისტი, ეკონომისტი ექსპერტი ფინანსური ბაზრების კუთხით, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა, აშშ-მა მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში და ჩვენ იდიოტებად მივაჩნივართო;

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო ოფიცერი რეი მაკჰოვენი: აშშ, ნატო, ევროკავშირი, რომლებიც ერთიან იმპერიად წარმოგვიდგება, საკუთარ ნებას თავს გვახვევენ, მაგრამ ამჯერად ფეხი წამოკრეს თავიანთ მორიგ პუტჩს უკრაინაში, რასაც რეჟიმის შეცვლას უწოდებენო;

ან ლინდ ლარუშის, სკოტ რიკარდის, პოლ კრეიგ რობერტსისა და სხვათა განცხადებები, რომელთა საერთო აზრით, აშშ და ევროკავშირი ევრომაიდანს უკრაინაში რამდენიმე წლის განმავლობაში ამზადებდნენ და მასში დიდი თანხები დააბანდეს პიერ ომიდიარმა და ჯორჯ სოროსმა;

რომ უკრაინის „კრიზისი“ დაგეგმა ვაშინგტონმა, რაც გამოიწვია არასამთავრობო ორგანიზაციების, ამერიკული „მეხუთე კოლონის“ მეშვეობით, რომლებიც დემოკრატიისა და ადამიანების

უფლებების დაცვის ნიღბით მოქმედებენ...

უცნაური ხალხი აღმოჩნდნენ უკრაინელები, ძალიან უცნაურები და კიდევ ძალიან ბრიყვები, საქართველოს მაგალითზე ვერაფერი ისწავლეს, პირიქით, მეტი მონდომებით გაიმეორეს საქართველოს მიერ ჩადენილი ბრიყვული ნაბიჯები და უფრო უარესიც – საქართველოზე მეტად გვინდა გაბრიყვება და გაცამტვერებაო... თუმცა, უკრაინელი ხალხს რა უნდა გაეწყო, როცა მათი ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო გაბრიყვებულის როლის თამაში, ისევე, როგორც საქართველოს ხელისუფლებისა 2008 წელს, – არავინ გაბრიყვებულა, ოკეანის გაღმა ეს ასე იყო გაწერილი.

უკრაინელი ხალხი? როგორც ქართველი ხალხი ვიყავით საბაკშვილის დროს გაკოჭილები, ნაცემები, ნაწამები, მოკლული, გაუპატიურებულები და ციხეებში ჩაყრილები, მაგრამ ერთი მოკეთე-გულშემატკივარი არ გვყავდა, იგივე მდგომარეობაში არიან დღეს ისინიც...

ახლახან ნართაულად წერდა ერთ-ერთი უკრაინელი ბლოგერი: „იმას, რომელ ეკლესიაში იაროს უკრაინელმა მრევლმა, მოსკოვის თუ კიევის ეპარქიის, ის ხალხი წყვეტს, ვინც სინაგოგაში დადისო“. ერთ სიტყვასაც ვერ დაამატებ კაცი, იმდენად სრულად არის გადმოცემული მთელი სურათი.

ეს კი ასეა, თანაც, ლაპარაკი ადვილია, საქმით რა გააკეთა უკრაინელმა მრევლმა კიევ-პეჩორის ლავრის დასაცავად, როდესაც დღევანდელი უკრაინის ფაშისტური ხელისუფლების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, დანილოვმა კიევ-პეჩორის ლავრის სამღვდელოებასა და მის მრევლს ასე მიმართა: „კიევ-პეჩორის ლავრიდან სასულიერო პირების გამოსახლება ღვთის ხელით ხდება. თქვენ ხომ ამბობთ ხოლმე, რომ მსოფლიოში რაც ხდება, ყველაფერში ღვთის ხელი ურევიაო, ჰოდა, ასე ჩათვალეთ!“ რა უპასუხა სამღვდელოებამ და მრევლმა ამ ფაშისტურ ცინიმზე უფრო ფაშისტურ ცინიზმს? – არაფერი!

მხოლოდ იმის მოკლე ახსნა-განმარტება არ არის დაცვა, რატომ გაიძარცვა ლავრა, – ეს ისედაც ნათელია: „პეჩორის ლავრა ვატიკანს სჭირდება, რადგან იქ არსებული სიწმინდეები, ბიბლიოთეკა, უძველესი ქრისტიანული ინვენტარი ცნობა-საბუთია საერთო სლავიანური გაქრისტიანებისა.

მათ, „რასკოლნიკებს“, სურთ, რომ მაქსიმალურად შეზღუდონ მართლმადიდებლური სამყარო და ეს ახალი ამბავი არ არის. ასე იქცეოდნენ მე-17 საუკუნიდან. როგორც სლოვაკეთს დაეუფლენ ქრისტესგან განშორებული პაპები, ასე იყო უკრაინაშიც პირველი მსოფლიო ომის, სამოქალაქო ომის დროს, რევოლუციის წინარე პერიოდში და ვერმახტის ოკუპაციის პირობებში – იდევნებოდნენ სლავი მართლმადიდებლები.

უკრაინაში მილიონობით წიგნია განადგურებული იმის გასამყარებლად, რომ თითქოს უკრაინელს არანაირი საერთო არ აქვს რუსთან, ბელორუსთან და სერბთან...

იდენტიფიცირებული ეთნიკური ნიშნით და ერად ჩამოყალიბების პროცესები მწარედ შეეხო სამხრეთ-დასავლეთ რუსეთს, უკრაინიზაციის ერთ-ერთი მიზეზიც ეს არის: მართლმადიდებლობის გახლეჩა, იუნიტების ჩანერგვა მართლმადიდებლურ ტაძრებში და საბოლოოდ გაკათოლიკება.“

ბოლშევიკებმა სხვა ეკლესიამონასტრებთან ერთად კიევ-პეჩორის ლავრაც დახურეს, მაგრამ არ გაუპარტახებიათ, არ შეხებიან წმინდანთა სხეულებს, რომლებიც ღია სანაწილეში ესვენენ...

ცნობილი ამბავია: მეორე მსოფლიო ომის დროს კიევის კომენდანტმა ვერმახტის ოფიცერმა ლავრის მონახულება გადაწყვიტა. მონახეს ბერი, რომელიც ადრე იქ მოღვაწეობდა. ოფიცერი ერთ-ერთ სანაწილესთან შეჩერდა და დაინტერესდა, რა მასალისგან იყო დამზადებული იქ განთავსებული სხეული. როდესაც ბერმა განუმარტა, რომ ეს იყო წმინდა სპირიდონის სხეული, რომელიც 800 წლის წინათ გარდაიცვალა და უხრწნელობას ეზიარა, კომენდანტი განურისხდა ბერს, ვის იგდებ მასხრადო და რევოლვერი წმინდა სპირიდონის ხელს ჩაარტყა. წმინდანის ხელი, რომელიც საუკუნეების გამო გამომშრალი და ჩაშავებული იყო, გადასკდა და იქიდან სისხლმა ამოასხა. კომენდანტი შეძრწუნებული გაიქცა...

ათასობით წლის წინათ გარდაცვლილებმა დაიცვეს ლავრა და ცოცხლად დარჩენილებმა, თავის სავალდებულო წილად – ვერა...

„დაფინანსება, რასაც ვაძლევთ უკრაინას, 90% სესხია და აქტივებით არის გამყარებული!

დიახ, ამ ფულს სესხად აძლევენ, რომელიც აქტივებით არის გამყარებული, რის შედეგადაც უკრაინას მუდმივად სიღარიბეში ამყოფებენ. Aასევე, აიძულებენ ზელენსკის, რომ სახელმწიფო აქტივები მულტინაციონალურ კომპანიებს გადასცეს, მათ შორის, მსოფლიოში საუკეთესო სავარგულები.

ნახევარ მილიონამდე უკრაინელი გაწყდა ომში ამ მიწების დასაცავად. მათ არ იცოდნენ, რომ ფული, რომლითაც იარაღი უყიდეს, სესხი იყო და სანაცვლოდ მიწების მესამედი ქარგილის, დიუპონისა და მონსარტოს ხელში გადავიდა.

როგორ გგონიათ, ვინ ფლობს ამ კომპანიებს?

დიახ, „ბლექ როქი“!

ზელენსკიმ, ასევე, ხელი მოაწერა ომის შემდგომი უკრაინის აღდგენის კონტრაქტს. ვინ მიიღო ეს კონტრაქტი? – „ბლექ როქმა“!

როგორ ახერხებენ ამას? – იმით, რომ „დემოკრატებს“ აპირისპირებენ „რესპუბლიკელებთან“ და სანამ ჩვენ ერთმანეთს ვებრძვით, თავიანთ საქმეს აკეთებენ“, – რობერტ კენედი-უმცროსი.

„ვფიქრობ, უკრაინის აღსადგენად საჭირო იქნება 750 მლრდ დოლარი. მე ვუთხარი პრეზიდენტ ზელენსკის, რომ ფულის ნაწილი წამოვა ევროპისა და ამერიკის სახელმწიფო სააგენტოებიდან და ასევე კერძო ინვესტორებისგანაც. ჩემი კომპანია, ასევე, „გოლდმან საქსი“ და სხვებიც, ვისაც სჯერა კაპიტალიზმის, უკრაინაში ჩადებენ ფულს. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ფილანტროპია, თუმცა, სამუშაოებზე დავიქირავებთ უკრაინელებს“, – ლარი ფინკი, „ბლექ როქის“ დირექტორი დავოსში.

რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ფილანტროპია, უკრაინელები „ბლექ როქსა“ და მის მეგობარ კომპანიებზე სიცოცხლის ბოლომდე იმუშავებენ, შემდეგ კი სესხს დააბრუნებენ და მათი მიწები „ბლექ როქისა“ და „ომის პარტიის“ ხელში გადავა, ცხადია, ყირიმისა და დონბასის გარეშე, რომელიც რუსეთმა წაართვა. აი, ამ თამაშით ცდილობს ქართული ოპოზიცია და ნჯო-ები საქართველოს ჩათრევას, რადგან „ომის პარტიას“ მეორე ფრონტიდანაც აწყობს რუსეთზე დარტყმა.

ზოგადად, რა თამაშს თამაშობს აშშ და რაში ჰყავს ჩათრეული ე. წ. ევროპული ელიტის ნაწილი, ძნელი მისახვედრი არ არის, ასე რომ კითხვაზე: რატომ იქცევა რუსეთი რბილად? – პასუხი გაცემულია.

(გაგრძელება იქნება)

პარტნიორები უკვე მზად არიან, არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადონ

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი *რამაზ საყვარელიძე:*

— ბატონო რამაზ, საარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შედის. რა რისკები არსებობს?

— ბევრი ამბობს, რომ ეს საკვანძო, კარდინალური არჩევნები იქნება, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა. ვიზიარებ, ჩვენ უნიკალური არჩევნების მომსწრე ვხდებით. ასეთი იყო გამსახურდიას დროს ჩატარებული არჩევნებიც, როცა კარდინალური საკითხი წყდებოდა – საბჭოთა კავშირიდან ჩვენი გათავისუფლება. ზვიადის არჩევის მერე მას საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსვლის პროცესი უნდა დაეძრა. ეს მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. ანალოგიურია, თუ უფრო მეტი არა, ეს არჩევნებიც. უფრო მეტში შემდეგს ვგულისხმობ: მიმდინარე მოვლენებმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირი მაინც იშლებოდა. გამსახურდიას მოღვაწეობა მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ მან დამოუკიდებელი საქართველოს იდეა გამოაცოცხლა, რაც თავის დროზე ილიამ გააკეთა. ილიამ დამოუკიდებლობის იდეა გაავრცელა, ნაღმს ცეცხლი მოუკიდა და ქართველები დამოუკიდებლობის იდეით ააფეთქა. შემდგომ მომხდარი აჯანყებებიც სწორედ ამის შედეგი იყო.

თუმცა 26 ოქტომბრის არჩევნები ბევრად რთული იქნება. ზვიადის დროს საბჭოთა კავშირის დანგრევის საკითხი თავის ისტორიულ კალაპოტში იყო – ყველა ფაქტორი ამაზე მუშაობდა. ამ თემაში თავად რუსეთის მონაწილეობა იმაზე მიუთითებდა, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის ბედი გადაწყვეტილი იყო. დღეს სულ სხვა ვითარებაა – საქართველოს ხელისუფლებასა და დასავლეთს, აშშ-ს შორის ჯახი მიმდინარეობს, რაც შემთხვევითი სულაც არ არის. ამ ჯახის ერთ-ერთი ფუნქცია, საქართველოში არეულობის, დესტაბილიზაციის მოხდენაა. ხელისუფლება ხშირად საუბრობს, რომ დასავლეთს აქ მეორე ფრონტის გახსნა სურს. ეს ამოცანა რეალურია. რამდენიმე დღის წინ „იუთუბზე“ უკრაინის ერთ-ერთ გულშემატკივარ ანალიტიკოსს ვუსმინე, რომელიც მსჯელობდა, თუ როგორ სჭირდებოდათ მეორე ფრონტის გახსნა და რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, ეს აუცილებლად მოხდებოდა. მეორე ფრონტის გახსნის მცდელობა ერთადერთი ვარიანტი არ გახლავთ. თუკი დასავლეთის ამოცანა აქ არეულობის მოწყობაა, მაშინ მეორე ფრანტის გახსნის აუცილებლობა არც არის – ასეთ არეულობას ნებისმიერი დესტაბილიზაცია, რევოლუციაც გამოიწვევს.

გერმანიამ რუსეთში რევოლუცია სპეციალურად უზარმაზარი თანხით დააფინანსა. ლენინი და მისი თანამებრძოლები რევოლუციურ პროცესებში ჩართო, რათა მას ომი თავიდან აეცილებინა. რევოლუციის შედეგად ქვეყანა ისე დაუძლურდებოდა, რომ ომში ვეღარ ჩაერთვებოდა, რაც დესტაბილიზაციის შედეგი იქნებოდა. დესტაბილიზაცია სულაც არ არის მცირე, ომზე ნაკლები რამ. ეს ქვეყანას უუნაროს გახდის. დავსვათ შეკითხვა, რაში გვჭირდება უნარები? – უნარების შენარჩუნებით ჩინეთთან ურთიერთობის შანსი გვეძლევა. შუა დერეფნის ამოქმედება უდიდეს დივიდენდებს მოგვიტანს. ჩინეთთან ალიანსი საქართველოსთვის მნიშვნელოვანია. ყველანი ვხედავთ, რომ რუსეთი ჩინეთთან მორიდებულად იქცევა და მასთან ჭიდაობის თავი არ აქვს. დასუსტებული რუსეთი თუ გვჭირდება, ამისთვის ყველაზე კარგი ვერსია ჩინეთის ქოლგის ქვეშ ყოფნაა. დანარჩენ ყველა სუბიექტთან რუსეთი დიდ გულზეა. ის უკრაინაში ომს მთელ ევროპასთან აწარმოებს და უკანაც არ იხევს. რუსეთს დასავლეთთან ურთიერთობის ასეთი სტილი აქვს. მისთვის დასავლეთთან ჭიდაობა მასტიმულირებელი მოვლენაა, ის პირიქით, უფრო აგრესიული ხდება. ჩინეთთან კი ჩუმად არის. ამიტომ, ჩინური ქოლგა პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

რუსეთთან გაბედული ურთიერთობა გვჭირდება. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ამერიკისთვის ჩინეთი კონკურენტია. დღეს ჩვენ ჩინეთისა და ამერიკის დაჯახების წერტილი ვხდებით. ვიმეორებ, გამსახურდიას დროს საბჭოთა კავშირი თავისთავად იშლებოდა. ახლა კი სახეზეა კონფრონტაცია, რაც, თუ ასე გაგრძელდა, მოვლენების პიკში ვექცევით, როგორც გეოპოლიტიკური ადგილი. ამიტომ გაიძახის ამერიკა, საქართველოს დემოკრატიის უკუსვლა აქვსო. აბა, ხომ ვერ იტყვის, ჩინეთის გამო ვეჭიდავებიო. ასე რომ თქვას, მაშინ დაპირისპირებაში ჩინეთი უნდა ჩაერთოს, რაც აშშ-ს არ აწყობს. ამერიკას ურჩევნია, დაპირისპირებას ისეთი სახე ჰქონდეს, თითქოს დემოკრატიის უკუსვლის გამო გვეჭიდავება. ამერიკის ჩინეთთან კონფრონტაცია, ბრძოლა ახლა იწყება. დიდი შანსია, ეს დიდხანს გაგრძელდეს.

აი, ასეთ რთულ პროცესში ვიმყოფებით. ერთადერთი, ვისზეც ეს პროცესი დამოკიდებულია, ეს გახლავთ ქართველი ხალხი. იმიტომ, რომ საქართველოში დესტაბილიზაციას ვერავინ შემოიტანს, თუ ხელისუფლება დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს. მერე უკვე ამერიკას ამ ხელისფლებასთან ჭიდაობის სხვა ფორმების მოძებნა მოუწევს. თუ მმართველი ძალისა და ოპოზიციის შედეგები ახლო-ახლო იქნება, მაშინ დასავლეთი რევოლუციის მოხდენაზე ზრუნვას დაიწყებს. დასავლეთს სურს, საქართველოს ხელისუფლებაში ის ძალა დააბრუნოს, ვინც 2003-დან 2011 წლამდე ედგა სათავეში. ამ პერიოდში დასავლეთს სააკაშვილის და მისი გუნდის მიმართ არცერთი შენიშვნა არ წამოსცდენია. პირიქით, მას „დემოკრატიის შუქურას“ ეძახდნენ. სააკაშვილი ქვეყანას ამერიკის პროექტით მართავდა და ამიტომ მათგან მხოლოდ ქებას იმსახურებდა. ახლა კი დასავლეთიდან უმკაცრეს შეფასებებს ვიღებთ. საქმე ის არის, რომ მიშა ამერიკის ინტერესებს ითვალისწინებდა, ივანიშვილი კი ასე არ მოიქცა. ამიტომაც ისმის კრიტიკა, უმძიმესი შეფასებები, რაც შესაძლოა, რევოლუციამდე მივიდეს. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა კიდევ იმიტომ სურთ, რომ მისით ერთნაირად არიან დაინტერესებულნი ამერიკაც და რუსეთიც, როგორც ეს 2003 წელს იყო. „ნაცმოძრაობა“ ორივესთვის ხელსაყრელი პოლიტიკური ძალა იყო. ამის მაგალითი არაერთია. ლავროვმა ახლახან განაცხადა, რომ საქართველო სწორი გზით მიდის. სად გინახავთ საქართველოთი აღფრთოვანებული რუსეთი?! ესე იგი, მას ეს „აღფრთოვანება“ რაღაცაში დასჭირდა და თუ რაში, ეს ორიოდ დღის წინ გამოჩნდა – მთელი ოპოზიცია ახმაურდა: ლავროვის პოზიცია ივანიშვილისას ემთხვევა, აი, თუ არ მიდის რუსეთისკენო. იმის თქმის საბაბი, რომ „ქართული ოცნება“ რუსეთისკენ მიდის, ოპოზიციას ლავროვმა გადმოუგდო. მოსახლეობას თავში უჭედავენ, თითქოს ხელისუფლება რუსეთისკენ მიდის.

— ხელისუფლების განცხადებით, ოპოზიცია 27 ოქტომბერს არჩევნების არაღიარებისთვის ემზადება. მათთან ერთად ემზადებიან პარტნიორები და მათ მიერ დაფინანსებული ნჯო-ებიც...

— ნჯო-ები უკვე ხურდა ფულია. მთავარი პარტნიორებისა და პრეზიდენტ ზურაბიშვილის პრობლემაა, რომლებიც მზად არიან, არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადონ. ზურაბიშვილის სიტყვაზე უცხოელებს მაშინ ვერ ექნებათ რეაქცია, თუ ხელისუფლებისა და ოპოზიციის შედეგებში დიდი სხვაობა დაფიქსირდება. ასეთ შემთხვევაში გაყალბებაზე საუბარი შეწყდება და ახალ კონტექსტს დაელოდებიან, რათა ხელახალი ბრძოლა დაიწყოს. თუ არადა, არჩევნების პროცესშივე ეცდებიან, სავარძელი გადააბრუნონ, როგორც ეს 2003 წელს მოხდა. იქაც ხომ წამყვანი მიზეზი არჩევნები იყო. ამიტომ ვამბობ, საქართველოს მოსახლეობა დღეს პოლიტიკური პერსონაა და მან საერთაშორისო მნიშვნელობის ნაბიჯი უნდა გადადგას. თუ მოსახლეობა „ქართულ ოცნებას“ სათანადო მხარდაჭერას გამოუცხადებს, მაშინ კავკასიის ხაზზე ორომტრიალი ცოტა ხანს ჩაწყნარდება. მაგრამ თუ მმართველი ძალა, მცირე უპირატესობით გაიმარჯვებს, მაშინ შეიძლება ქუჩაში გამოსვლები დაიწყოს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რა მოხდება, თუ საზოგადოება „ქართული ოცნების“ მხარდაჭერაზე უარს იტყვის და თავის ხმებს გაფანტავს. მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში, ხელისუფლებაში ოპოზიციური ერთობა მოვა და კოალიციის ფორმირება უმრავლესობაში მყოფი პარტიის სურვილით მოხდება. კაბინეტს ნაცები ჩამოაყალიბებენ. ასე რომ, თუ ქართული საზოგადოება ფიზიზლად არ იქნება, ხელისუფლებაში ნაცები მოვლენ. მერე, ისინი უკრაინის დახმარების ინიციატორები გახდებიან, მიშას ციხიდან გამოუშვებენ, რომელიც ერთიანი ოპოზიციის ლიდერად მოგვევლინება და დავბრუნდებით 2003-2011 წლებში. სააკაშვილი რუსეთთან და ამერიკასთან ურთიერთობას დაალაგებს, ორივე კმაყოფილი იქნება, ჩინური ჰაბი კი დაიბლოკება. თანაც ქვეყნის შიგნით გაცილებით მკაცრი რეჟიმი იქნება, ვიდრე 2011 წლამდე იყო. ნაცებს დანაშაული არ მოუნანიებიათ და თანაც არაერთხელ აღნიშნეს: გასული პერიოდის 9 წელი ჩვენი შეცდომა იყო, ძალიან ლოიალურები ვიყავით და ვეცდებით, ეს გამოვასწოროთო. ასე რომ, ჯერი ქართველ ხალხზეა.

— ხელისუფლებამ გამარჯვების შემთხვევაში „ნაცმოძრაობის“ გასამართლება დააანონსა. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?

— ვნახოთ, ასეთი დაპირება პირველი ხომ არ არის. თუმცა ამ ეტაპზე დადებულ პირობას შეიძლება სხვა ბედი ეწიოს. ხელისუფლება ამბობს, კონსტიტუციური უმრავლესობით მოსვლა გვჭირდებაო. ამის მიზეზი შეიძლება შემდეგი იყოს: კონსტიტუციიდან ღალატის მუხლი ამოღებულია. თუ ხელისუფლება აპირებს, „ნაცმოძრაობას“ ქვეყნის ღალატში დასდოს ბრალი, მაშინ კანონში შესაბამისი მუხლიც უნდა არსებობდეს. ვიცით, რომ კანდიდატის სტატუსის მონიჭებამდე ოპოზიცია ევროპაში დარბოდა და ევროპარლამენტარებს ეუბნებოდა, საქართველოს სტატუსი არ მისცეთო. ასე რომ, ღალატში ბრალის დადების საფუძველი არსებობს. თუ ამ მიმართულებით აპირებენ, ნაცებს ღალატში ბრალი დასდონ და არა 2008 წლის აგვისტოს ომისთვის, მაშინ ეს დრო ახლა დადგა. აი, ამისთვის სჭირდებათ კონსტიტუციური უმრავლესობა, რათა კონსტიტუციაში ეს მუხლი შეიტანონ.

— მეორე საკითხია, საერთაშორისო დემოკრატიულ სტანდარტებთან რამდენად არის შესაბამისობაში ნაცების გასამართლება და ეს რამდენად იქნება შემაფერხებელი ევროინტეგრაციის გზაზე?

— თუკი დადასტურდება, რომ საქართველოს ოპოზიციური პარტიები ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ამას წინ ვეღარავინ აღუდგება. ვფიქრობ, ხელისუფლებას ღალატის სათანადო ფაქტები აქვს. მეტიც, თუ ბრალდების საფუძველი სწორედ ეს გახდება, გამორიცხული არ არის, რომ ხელისუფლებამ ბრალდების მოწმეებად თავად უცხოელები გამოიძახოს. თუ საფუძველი არსებობს, რომ უცხოელებმა ამ თემაზე ისაუბრონ და ეს საიდუმლო ინფორმაციას არ წარმოადგენს, მაშინ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მსჯავრის გამოტანა სწორედ უცხოელების დახმარებით მოხდება.

— თქვენ 2008 წლის აგვისტოს ომი ახსენეთ. ამ და სხვა ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხი არ უნდა აგონ?

— მაინც მგონია, რომ მსჯავრის გამოტანა ბოლო პერიოდის მოვლენების მიხედვით მოხდება, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. ხოლო იმ ცოდვებისთვის, რისი მომსწრეც წლების განმავლობაში ქართველი ხალხი იყო და ბევრმა ეს თავის ტყავზე გამოსცადა, შესაძლოა, ხანდაზმულობის ვადა გასული იყოს. „ქართული ოცნების“ იურისტებმა უკეთ უწყიან, როგორ უნდა იმოქმედონ. ბრალის დადასტურების შემთხვევაში დენაციფიკაცია მოხდება.

— რადგან სტატუსი ვახსენეთ, ბარემ გკითხავთ: ახლახან საქართველოში ორდღიანი კონფერენცია ჩატარდა, სადაც რასა იუკნევიჩიანემ განაცხადა, საქართველოს სტატუსი დამსახურების მიხედვით არ მიუღია, არამედ ეს კრედიტია ქართველი ხალხის გასამხნევებლად, რათა არ დანებდნენო. როგორ შეაფასებთ ამ გამონათქვამს?

— დასავლელი პოლიტიკოსები ნებისმიერ შეურაცხყოფაზე მოდიან. სხვაგან სადმე გინახავთ, რომ ხელისუფლებას ეუბნებოდნენ, რაც მოგეცი შენ კი არა, ხალხს ეკუთვნოდაო. ეს ხომ უკვე კონფრონტაციის ინტონაციაა. ისინი ამ კონფრონტაციაზე სწორედ იმიტომ მოდიან, რომ ხალხში შემდეგი აზრი გაამყარონ: დასავლეთი ქართველ ხალხს კარგი თვალით უყურებს, ხელისუფლებას კი – ცუდი. აი, რას გვეუბნებიან: თუ ევროკავშირში გაწევრიანება გსურთ, ეს ხელისუფლება გადააგდეთ და ევროპის კარი მაშინვე გაიხსნებაო. ეს წმინდა წყლის შანტაჟის ენაა.

თამარ შველიძე

ეკლესიისა და საზოგადოების მიმართ პარტნიორების ენაღვარძლიანობამ ჩვენი კონსოლიდაცია გააძლიერა

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი ***დიმიტრი ლორთქიფანიძე***:

— ბატონო დიმიტრი, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ გაკეთებულ განცხადებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის თქმით, ეს გარკვეულ რისკებს შეიცავს...

— საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება არსებობს, რასაც საერთაშორისო სამართალი კონკორდატის სახელწოდებით იცნობს. ჩვენი ეკლესია სახელმწიფოსგან დამოუკიდებელია. ქვეყნის მშენებლობის გზაზე ეკლესიის როლი განსაკუთრებულია, რასაც სახელმწიფოც აღიარებს. საქართველოს ეკლესია მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მთავარი ქვაკუთხედი იყო და არის, რაც კონსტიტუციით არის გაწერილი. ჩნდება შეკითხვა: თუკი საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული როლი კონსტიტუციით არის აღიარებული, მაშინ რატომ არ ხდება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, მით უმეტეს, რომ კონკორდატი ამ მნიშვნელოვან გზაზე უკვე გარდამავალი ეტაპია? ამ Aშეკითხვაზე პასუხი მარტივია. პირველ რიგში, ჩვენ საქართველოს ეკლესიის ინტერესიდან უნდა გამოვიდეთ. ეს ინტერესი მისი დამოუკიდებლობაა, რომლის გარანტი, უპირველესად, თავად ეკლესიაა, რომელიც სასულიერო და საერო პირთა, ანუ მრევლის კრებულია. ვიდრე ეს კრებული არსებობს, ეკლესიის დამოუკიდებლობის გარანტიც იარსებებს.

თავად სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ეკლესიისგან განსხვავებით, დროის მოცემულ ეტაპზე, სხვადასხვაგვარად განიხილება. არსებობს შესუსტებული, შეზღუდული, გაფართოებული და სრული სუვერენიტეტი, რაც ჩვენს სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, არ გააჩნია. საქართველოს გარდა, გამომდინარე საგარეო პოლიტიკური კონიუნქტურიდან, რაც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაშია შექმნილი, სრული სუვერენიტეტი ბევრ სხვა სახელმწიფოსაც არ გააჩნია. ბუნებრივია, საქართველო საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში ბევრ სახელმწიფოსთან არის. მათ შორის, რიგ ქვეყნებთან საქართველოს გარკვეული ვალდებულებები გააჩნია. მაგალითად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საქართველომ კანდიდატის სტატუსიც მიიღო. კანდიდატობა ევროკავშირის ჩვენს კანონმდებლობასთან ჰარმონიზირებას გულისხმობს, რაც, ბუნებრივია, სუვერენიტეტის შეზღუდვაზე გადის. ბევრი რამ, რაც ევროკავშირში ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპებით არის გამყარებული, ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ ამ საკითხზე შეუგუებლობასთან მიმართებით მუდმივი კონფლიქტი გვიწევს – ეკლესიას თავისი სულიერი ხედვა გააჩნია, იმ დოგმებით გამყარებული, რაც მსოფლიო საეკლესიო კრებებზეა მიღებული. დოგმა კი სწორედ ის უცვლელი პოსტულატია, რომლის გატარება ეკლესიისთვის სავალდებულოა.

შესაბამისად, როდესაც ქართული სახელმწიფო დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობებში გარკვეულწილად შებოჭილია და ამ დროს სახელმწიფო მართლმადიდებლობას სახელმწიფო რელიგიად აცხადებს, ამ შემთხვევაში საქართველოს ეკლესია, გარკვეულწილად, იმ ურთიერთობების მძევალი ხდება. ანუ, ქართულ სახელმწიფოს დანარჩენ მსოფლიოსთან, განსაკუთრებით კი იმ პარტნიორებთან, რომლებიც პირდაპირ აიძულებენ ქვეყანას თავისი საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის მასთან ჰარმონიზირებას, კომპრომისებზე წასვლა უწევს. სწორედ ეს დიდი ფუფუნება – ეკლესიის დამოუკიდებლობა ხელშეუხებელი უნდა იყოს.

მაგალითად, თუ საქართველოს ექნება სრული სუვერენიტეტი, რაც ხვალ შეიძლება შეეზღუდოს ან გარკვეულწილად დაკნინდეს, ამ შემთხვევაში ეკლესია დაზღვეული უნდა იყოს და ეს ხელშეუხებლობით, სრული ავტონომიის უფლების დაცვით განხორციელდეს, რითაც საქართველოს ეკლესია დღეის მდგომარეობით სარგებლობს. აი, მხოლოდ და მხოლოდ ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ აცხადებს წმინდა სინოდი და უწმიდესი, რომ სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობის გამოცხადება გარკვეული ხიფათების შემცველია. შესაბამისად, ასეთი წინადადების მიღებისგან თავს იკავებს.

მეორე საკითხია, როგორ შეიძლება სხვაგვარად ეკლესიისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება გამოიხატოს ისე, რომ მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად არ გამოვაცხადოთ, მაგრამ ეკლესიის როლი და ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდოს. ამ შემთხვევაში ნაბიჯი ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით უნდა გადაიდგას: პირველ რიგში, ისევე, როგორც წლების წინათ, საქართველოს ეკლესიას საკანონმდებლო ორგანოში თავისი საპარლამენტო მდივანი ჰყავდა, ასეთივე წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში უნდა ჰყავდეს. უშიშროების საბჭოში ეკლესიას გარკვეული ხმის უფლება უნდა გააჩნდეს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარეობს და გარკვეულწილად, იმ მოქალაქეთა ჯგუფს ეხება, რომელიც, ამავდროულად, მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს წარმოადგენს. სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 87% მართლმადიდებელი, ქრისტიანობის აღმსარებელია. ბუნებრივია, უშიშროების საბჭოში ეკლესიისთვის ხმის უფლების ქონა სრულიად კანონზომიერი იქნებოდა.

მეორე საკითხია საკანონმდებლო აქტის მიღების პროცესში ვეტოს გამოყენების უფლება. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ცვლილებებს, დამატებებს ან ახალი კანონის პროექტს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ადამიანის უფლებების დაცვას ეხება. ეს ორი მიმართულება – უშიშროების საბჭოს წევრობა და საკანონმდებლო აქტის მიღების პროცესში ვეტოს გამოყენების უფლება, საუკეთესო ტესტი იქნებოდა, რაც დაასრულებდა სპეკულაციას თემაზე: ზრუნავს თუ არა სახელმწიფო ეკლესიაზე. მოსახლეობას არ უნდა გაუკვირდეს, რატომ შეხვდა სკეპტიკურად ბევრი მღვდელმთავარი ამ ინიციატივას. სახელმწიფოს მხრიდან დაზუსტებული იქნა, რომ საუბარია ეკლესიის როლის გაღრმავებაზე, რაც კონსტიტუციაში ისედაც ასახულიაო. ეკლესიის როლის გაღრმავების კონკრეტული რეცეპტი „საერთო გაზეთის“ მეშვეობით ახლა მკითხველს მივაწოდე. დაე, ეს საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი გახდეს.

ეკლესია დაუმარცხებელია, მას ზღუდენი ჯოჯოხეთისანი ვერ ეწევიან. ვხედავთ, რომ არამხოლოდ შიდა, გარე მტრებიც, ჩვენი „პარტნიორებიც“ ილაშქრებენ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. მაგრამ რამდენი როთიც უნდა ენაღვარძლიანობდეს ეკლესიის, საზოგადოების მისამართით, ამით მხოლოდ ჩვენი კონსოლიდაცია, გაძლიერება უნდა მოხდეს. ასეთი მტრები კიდევ უფრო გაგვიმრავლდებიან. ვფიქრობ, საბოლოოდ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მოიძებნა ის კომპრომისი, რასთან დაკავშირებითაც განცხადება ღიად გაკეთდა: სინოდი და საპარლამენტო ხელისუფლება ერთად ჩამოაყალიბებენ იმ ხედვას, რითაც აღმშენებლობის კუთხით ეკლესიის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რასაც ამ ურთიერთობის შედეგად მიაღწიეს. შესაბამისად, ეს არავითარ სივრცეს არ უტოვებს სპეკულაციისთვის ქართული სახელმწიფოს იმ ოპოზიციადწოდებულ მტრებს, რომლებიც როგორც შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც უხვად გვყავს. მათ 26 ოქტომბრის არჩევნებზე ქართველი ხალხი ღირსეულ პასუხს გასცემს, რასაც ქვეყანაში შეუქცევადი პროცესები მოჰყვება როგორც საგარეო კურსის განმტკიცების კუთხით, მრავალვექტორული, უნივერსალური შესაძლებლობების რეალიზაციის გზით, ისე შიდა პოლიტიკური კუთხითაც. ამ ყველაფერს „ნაცმოძრაობის“ გასამართლება უნდა მოჰყვეს.

დიახ, ახლა დგება მომენტი, როცა ნაცებისა და მისი გამონადენების გასამართლება შეუქცევადად მოხდება. კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ გარედან შექმნილი ბოროტების ძალაა. მას კონკრეტული მიზნები გააჩნია, რაც მოსახლეობის წინააღმდეგ წლობით ჩადენილ დანაშაულში გამოიხატა. ამისთვის სამართლებრივი შეფასების არმიცემა ახალი დანაშაულის ჩადენის ტოლფასი იქნება. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირების უმთავრეს სლოგანად „ნაცმოძრაობის“ გასამართლება იქცა. ეს ერთადერთი გზაა, რათა თორმეტი წლის შემდეგ მაინც მოხდეს ძველი დაპირების ასრულება და „ქართულმა ოცნებამ“ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში თავისი არსებობა გაამართლოს.

— როგორია იმ ქვეყნების პრაქტიკა, სადაც მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული. მაგალითად, საბერძნეთში, სადაც ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ იქ ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონებულიყო?

— დიდი მადლობა ამ მაგალითის მოყვანისთვის. უპრიანი იქნებოდა, საუბარი თავიდანვე საბერძნეთის პრეცედენტით დამეწყო. საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია სინოდალურ მართვაზეა გადაყვანილი. მას ერთი პატრიარქი არ ჰყავს, იქ რამდენიმე სინოდია. საბერძნეთის ეკლესია ჯერ სინოდალურ მართვაზე გადაიყვანეს, მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს და სახელისუფლებო ბერკეტების მონოპოლიზება მოახდინეს ეკლესიაზე უფლების გავრცელების პრინციპით. საბოლოოდ, არაერთი მღვდელმსახური, კორუფციისა თუ სხვა ტიპის ბრალდებებით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვდა, რაც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ტიპის ბერკეტების გამოყენების პრინციპებთან იყო დაკავშირებული. შედეგად, „ურჩი“ მღვდელმთავრების წინააღმდეგ ბევრი უსამართლო გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

გვ 3.

5 გვ.

რაც ყველაზე მთავარია, საბერძნეთმა, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, შარშან 2023 წელს ერთსქესიანთა სამოქალაქო ქორწინების საკანონმდებლო აქტი დააკანონა. მან ამ სატანური აქტით სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ჰარმონიზაციას წერტილი დაუსვა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობის გამოცხადება არამხოლოდ ფიქცია, არამედ ეკლესიის წინააღმდეგ პირდაპირ განხორციელებული სატანისტური, ძალმომრეობითი აქტი იყო მორწმუნე საზოგადოების წინააღმდეგ, რომელთა ხმა, პროტესტი კანონის მიღების პროცესში გადამწყვეტი არ აღმოჩნდა. დღეს საბერძნეთი ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ხელისუფლების ქვეშ მოქცეული სახელმწიფოა, რომლის მართლმადიდებლური სტატუსი მის პოლიტიკურ მოქმედებებს სრულიად არ ამართლებს, პირიქით, მას სამარცხვინოს, არამისაბაძს ხდის. საბერძნეთის პრეცედენტი საკმარისია იმისთვის, რომ ჩვენ მისი მაგალითი და გზა არ გავიაროთ. ნათქვამია, მხოლოდ

ბრიყვი სწავლობს საკუთარ შეცდომებზეო. ეს ის შემთხვევაა, როცა სხვის შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ, გაგვინათდეს გონება და ჩვენს ქვეყანაში იგივე ურთიერთობების დაწყებას ბიძგი არ მივცეთ. ვინაიდან დღეს ერთი ხელისუფლებაა, ხვალ სხვა იქნება. ჩვენ ვერ დავაზღვევთ ეკლესიას მომავალი სახელმწიფო მსახვრალი, მომრეობითი მმართველობის ხელისგან. ეკლესიის დამოუკიდებლობის გარანტია მორწმუნე საზოგადოებაა, რათა ის ხელშეუხებელი იყოს.

— ბატონო დიმიტრი, არჩევნებამდე ორთვეზე ნაკლები რჩება, რა მოლოდინები გაქვთ?

— დრამატული არჩევნები გველის. როცა წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი სლოგანი ოპოზიციური პარტიების მიმართ სამართლიანი სამართლებრივი გარემოს ფარგლებში აღსასრულებელი მართლმსაჯულებაა, ასეთი პროცესი ყოველთვის დაძაბულობას იწვევს. მეორე მხრივ, საზოგადოება აზარტში შედის, თუ რამდენად შეძლებს ხელისუფლება დაპირების შესრულებას. ამიტომ პოლარიზაცია უფრო გაღრმავდება, რასაც შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება მოჰყვეს, რასთან დაკავშირებითაც სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მიერ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ბატონ ბიძინა ივანიშვილზე შესაძლო თავდასხმის ორგანიზებასთან დაკავშირებით. ანტიკორუფციული ბიურო ხელმძღვანელმა, ბატონმა რაჟდენ კუპრაშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიების დაფინანსების წყარო გამჭვირვალე არ არის და ამასთან დაკავშირებით მეტი განმარტება მოითხოვა, რაც მაფიქრებინებს, რომ ამ ყველაფერს საფუძველი აქვს. საფუძვლების არსებობას კი პროკურატურამდე მივყავართ. ვინაიდან ამ შემთხვევაში, ანტიკორუფციული ბიურო დამოუკიდებლად გამოძიებას ვერ დაიწყებს.

საინტერესოა ისიც, რომ მომავალი პარლამენტი შეიძლება 150-კაციანის ნაცვლად 120-კაციანი აღმოჩნდეს – თუ დენაციფიკაცია მოხდა და საკონსტიტუციო სასამართლო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონიდან გამომდინარე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინაშე არაერთგზის ჩადენილი დანაშაულისთვის „ნაცმოძრაობის“ და მასთან დაკავშირებული ძალების ლიკვიდაციას მოახდენს, მაშინ გამოდის, რომ ბევრი მანდატი შეიძლება არარეალიზებული დარჩეს. პროპორციული საარჩევნო სისტემაა და, შესაბამისად, გადათამაშება ვეღარ მოხდება. ეს არ გახლავთ არჩევნები მაჟორიტარული სისტემით, რომ განმეორებით ჩატარდეს.

ერთპარტიული მმართველობის მაგალითები გვაქვს უკრაინასა და მოლდოვაში, სადაც ოპოზიცია, ოპოზიციურად განწყობილი არასამთავრობოები და მედიაც აკრძალულია, რასაც ევროკავშირი სრულიად გაგებით ეკიდება. თუ ევროკავშირი ორმაგი სტანდარტით არ იხელმძღვანელებს, მაშინ დენაციფიკაციის შედეგად შემცირებული პარლამენტარების რიცხვმა პარტნიორი ევროპარლამენტარები არ უნდა აღაშფოთოს. „ქართულ ოცნებას“ კვლევების თანახმად 60% აქვს, რაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოსაპოვებლად საკმარისი არ არის. დენაციფიკაციამ შეიძლება კონსტიტუციური უმრავლესობა უზრუნველყოს. თუ ეს სცენარი განვითარდა, დენაციფიკაცია მოხდა და დეპუტატად ქცეულ „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს მანდატები ჩამოერთვათ, ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება.

თამარ შველიძე

ბავშვთა „კალათბურთის მოძღვარი“

ადამიანი, რომელსაც თავისი სამშობლო და პროფესია თავდადებით უყვარს, ყველა დროში პოულობს სიყვარულს და დამსახურებულ ადგილს. ჩვენი წინაპრები ხან მოძღვარს, ხან მწვრთნელს, ხანაც სულიერ მამას უწოდებდნენ იმ ადამიანს, რომელსაც ლამაზი ქართული სიტყვა – მასწავლებელი ჰქვია. ეპოქის ჭუჭყში გაურეველ, ღირსებით სავსე და შეუცდომელ კაცად იცნობდნენ ჩვენს თანამედროვეს, ქართული კალათბურთის ღვაწლმოსილ მწვრთნელს ზურაბ სამხარაძეს.

სამწუხაროდ, ბატონ ზურაბ სამხარაძეზე წარსულში გვიწევს საუბარი; ამ ექვსი თვის წინ ქართულ საკალათბურთო ოჯახს გამოაკლდა თხემით ტერფამდე ეროვნული სულიერების მატარებელი, ოჯახური ტრადიციების დამცველი ღირსებით სავსე პიროვნება, რომელიც დიდი რწმენითა და იმედით მიუყვებოდა სახელოვანი ქართველი მწვრთნელების, გიორგი ავალიშვილის, მიხეილ კეკელიძის, სულიკო თორთლაძის, შალვა დიასამიძის, ოთარ ქორქიასა და სხვათა გაკვალულ გზებს. კარგი კაცის გარდაცვალება დიდი დარდი და მწუხარებაა ოჯახისათვის, სამეგობროსთვის და, ზოგადად, ქალაქისათვის, რადგან კარგი კაცი სამშობლოს უკვდავებაა.

ზურა მასწავლებელი! – სწორედ ასე მიმართავდნენ უმცროსი კოლეგები, მრავალრიცხოვანი აღსაზრდელები მრავალი თაობის აღმზრდელს, კეთილსინდისიერების ნიმუშს, ბატონ ზურაბ სამხარაძეს. განუმეორებელ მოძღვარს მრევლშიც გაუმართლა, ამის დასტურად საკმარისია ჩამოვთვალოთ მისი აღზრდილი წარმატებული კალათბურთელები: ზაზა ფაჩულია, მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ბექა ბურჯანაძე, ირაკლი ხოშტარია, სერგო ათუაშვილი, ზაზა ენდელაძე და სხვები.

იყო დრო, როცა სკოლებს ხშირად სტუმრობდნენ წარმატებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები. ეს სახელოვანი ტრადიცია 2015 წელს გაიხსენა ბატონმა ზურაბმა, რომელიც ყოველ ზაფხულს სოფელ ლაშეში ატარებდა და ერთ-ერთი სტუმრობის დროს ხარაგაულის სასპორტო სკოლაში საჩვენებელი ვარჯიშები ჩაატარა დამწყებ კალათბურთელებთან. ამ მეცადინეობას ესწრებოდა ამ სტრიქონების ავტორიც. მისმა ჩატარებულმა ვარჯიშებმა თვალნათლივ დამანახა, თუ როგორ სათუთად და საქმის ღრმა ცოდნით უნდა აზიარო დამწყები კალათბურთელი საყვარელ საქმეს. ზურაბს ძალიან უყვარდა მშობლიური ხარაგაული და პირად საუბარში ხშირად უთქვამს, რომ ხარაგაულის საპატიო მოქალაქეობა მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო.

ზურაბ სამხარაძე ქართული კალათბურთის ისტორიაში მრავლის მნახველი პიროვნება იყო, გარდა იმისა, რომ მოზარდებს საფუძვლიან ცოდნას აძლევდა, კალათბურთის კარგი ანალიზის უნარითაც იყო ცნობილი; საინტერესო იყო მისი მოსაზრებები როგორც ბავშვთა კალათბურთზე, ასევე სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

ზურაბ სამხარაძე იყო სამეგობროს საჩუქარი, დიდი ზნეობის ადამიანი და კაცობის ეტალონი...

2024 წლის 21 მარტს, საქართველოზე, სამეგობროზე უზომოდ შეყვარებულ კაცს გული გაუჩერდა, რომელიც სიკეთით და სიყვარულით ჰქონდა სავსე... რომ არა ავბედითი გარდაცვალების დღე, ქართული სახელმწიფო, სპორტული სამყარო, საკალათბურთო ოჯახი სახელოვანი მწვრთნელს 4 სექტემბერს 80 წლის იუბილეს მიულოცავდნენ.

გულისტკივილს გამოვხატავთ ბატონი ზურაბის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და ვანუგეშებთ მის მეუღლეს, ქალბატონ ქეთევანს, შვილებს – თამარ, გიორგი და დავით სამხარაძეებს.

ნათელი და სანთელი დიდი მაესტროს, ზურაბ სამხარაძის ცამდე ამაღლებულ სულს.



ხარაგაულის სოფელ ლაშეს სამეზობლოს სახელით –
ბექან ჩხეიძე
555 41 97 33

საქართველო სწორი გზით მიდის და ამ გზაზე ჩვენს ტრადიციულ ფასეულობებს ვინარჩუნებთ

გვესაუბრება „აზერბაიჯანთა ეროვნული კონგრესის“ თამჯდომარე, პოლიტოლოგი **ალი ბაბაევი.**

– ბატონო ალი, წინ „ცხელი“ შემოდგომა გველოდება. როგორც პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პოლიტსაბჭოს წევრი, როგორ შეაფასებდით გზას, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მმართველმა გუნდმა გაიარა?

– საქართველომ ამ თორმეტი წლის განმავლობაში ძალიან სერიოზული გამოწვევები გადალახა. არაერთი მცდელობა იყო იმისა, რომ ქვეყანაში არეულობა მოეწყოთ და რევოლუციის გზით დაემხოთ ხელისუფლება, როგორც ეს 2003 წელს გააკეთეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. ამისათვის დიდი მადლობა ქართველ საზოგადოებას, რომ არ აჰყვა ქვეყნის მტრების პროვოკაციას და მათ ავანტიურულ მოწოდებებს! რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის უკან ის ძალები დგანან, ვისაც არ უნდა რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა. საქართველოს ხელისუფლება კი ყველაფერს ცდილობს რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. სწორედ საქართველო გახდა მედიატორი ქვეყანა, სადაც არაერთი მოლაპარაკება შედგა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რამაც ძალიან დიდი შანსი მისცა ამ ორ ერს საერთო ენის გამოსანახად და რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. ამის არაერთი მაგალითი გვაქვს ჩვენი ყოფილი თუ ახლანდელი პრემიერ-მინისტრების მხრიდან და, რა თქმა უნდა, ყველაფერს ხედავს ჩვენი საზოგადოება, რაც ქვეყნის სასიკეთოდ კეთდება. საქართველო ეკონომიკური აღმავლობისკენ მიდის, ჩვენი ქვეყნით დაინტერესებული არიან დიდი სახელმწიფოები, შევიძინეთ უმსხვილესი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი ჩინეთის სახით, რომელმაც უკვე ტვირთის გადაზიდვა დაიწყო საქართველოს გავლით, ვითარდება „აბრეშუმის გზის“ პროექტი და მალე ქვეყანაში მსოფლიო მნიშვნელობის პორტიც გვექნება. ეს ყველაფერი ეტაპობრივად კეთდება როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის სტაბილური განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობისთვის. ადამიანებმა კიდევ ერთხელ ჩაიხედონ თავიანთ გულში – რა ვიყავით 2012 წლამდე და რანი ვართ დღეს! გავიხსენოთ, რას სჩადიოდა „ნაციონალური მოძრაობა“ მოსვლის დღიდან, რამდენი უბრალო ადამიანი თუ ბიზნესმენი შეეწირა მათ სასტიკ რეჟიმს. მე თვითონაც მათი რეპრესიების მსხვერპლი ვარ... ახლა კი ეს ქვეყნის მტრები დაიყვნენ, დაქუცმაცდნენ, სახელი შეიცვალეს და ამით ცდილობენ საზოგადოებისთვის თვალის ახვევას, ვითომ კოალიციური მთავრობის შექმნა უნდათ. ეს ადამიანები და მათი საქმეები სათითაოდ უნდა გავშიფროთ და საშშობლოს ღალატისა და ტერორის გამო უნდა მივუჩინოთ ადგილი იქ, სადაც იმსახურებენ – სამარტოო საკანში და არა „კურორტზე“, სადაც სააკაშვილი დღემდე კოტრიალობს.

– როგორ ადამიანებს ისურვებდით შემდეგი მოწვევის პარლამენტში, ვის უნდა მისცეს საზოგადოებამ ქვეყნის კანონმდებლის მანდატი?

– დეპუტატი უნდა იყოს ხალხის ინტერესების გამტარებელი საკანონმდებლო ორგანოში, მათი აზრის გამომხატველი, ისეთი კანონების ინიციატორი, რაც წაადგება სოფელს, ქალაქს, ქვეყანას... დეპუტატი უნდა იყოს კომუნიკაბელური, სანდო და ცნობილი სახე საზოგადოებაში: პატიოსანი, სამართლიანი, არ უნდა იყოს ნასამართლევი. ადამიანს, რომელიც კორუფციასა და ქვეყნის ღალატშია მხილებული, რა უნდა საკანონმდებლო ორგანოში? ადამიანი, რომელიც არ ფლობს სახელწიფო ენას, არ უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. დეპუტატი უნდა იყოს როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო საქმეებში გარკვეული, უნდა ერკვეოდეს ეკონომიკასა და პოლიტიკაში, უნდა იცოდეს საერთაშორისო სტანდარტები. არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ის ხალხის არჩეულია. დეპუტატი უნდა იყოს ქველმოქმედი და კარგი საქმეების ინიციატორი. ის უნდა იყოს ანგარიშვალდებული როგორც თავისი ამომრჩევლის, ასევე საშშობლოს წინაშე. რა ვალდებულება აქვს დღევანდელ ოპოზიციას პარლამენტში, როცა არანაირი კანონი მათი მონაწილეობით არ მიღებულა? რა უნდათ მათ პარლამენტში?! კანონში უნდა ჩაიწეროს, რომ დეპუტატს, რომელიც სხდომას არ ესწრება და არც ერთი კანონპროექტის ინიცირებაში არ მონაწილეობს, უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება. თუნდაც მმართველ პარტიაში, სულ დეპუტატთა 20 პროცენტი აქტიურობს. დანარჩენი 80 პროცენტი ზის მხოლოდ პარლამენტში და ზოგჯერ ხელის აწევაც ეზარებათ. რისთვის გვჭირდება ისეთი დეპუტატი, რომელიც ამომრჩევლის ინტერესებს არ იცავს, რომელსაც წლების განმავლობაში ერთი კეთილი საქმეც არ გაუკეთებია თავისი ხალხისთვის? ქედს ვიხრი ჩვენი ქალბატონი დეპუტატების წინაშე, რომლებიც ხშირად უფრო მამაცები და აქტიურები არიან, ვიდრე ზოგიერთი მამაკაცი დეპუტატი! არც ის მიმაჩნია გამართლებულად, რომ სამი და ოთხი ვადით ერთსა და იმავე დეპუტატს ვირჩევთ, როგორი წარმატებულიც უნდა იყოს ის.

მოსახლეობის 70-80 პროცენტის მიზანი ევროპაში ინტეგრაციაა. ისეთი ნაბიჯები გადავდგით ამ მიმართულებით, ბევრ ევროპული ქვეყანას რომ შეშურდება. იმედია, მალე ურთიერთობა აშშ-სთან და იმ ქვეყნებთანაც მოგვარდება, რომლებიც ჩვენთან მშვიდობიანი თანამშრომლობით არიან დაინტერესებული და საქართველოს ხელისუფლების მცდელობას სათანადოდ დააფასებენ.

– ბატონო ალი, საქართველოს პროკურატურამ, გერმანიის პროკურატურასთან ერთად, საბოლოოდ გამოიძია ე. წ. „ქოლცენტრების საქმე“ და დაადგინა, რომ ევროპელი პენსიონერების ხარჯზე წლების განმავლობაში მდიდრდებოდა დავით კეზერაშვილი და მისი ოჯახი. საქმეზე კონკრეტული პირები უკვე დაკავეს...

– კეზერაშვილს მხოლოდ თავის ოჯახში არ მიჰქონდა ეს ფულები. ის იყო წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ სალარო. აქეთ-იქით რომ დარბიან და საკუთარ ქვეყანას თავს ჭრიან, აბა, ვისი ფულებით დარბიან? მართლს ამბობდნენ, რომ 2012 წელს, კონტეინერებით გაჰქონდათ ნაძარცვი ფული ბათუმიდან ნაციონალებს. ზუსტად ის ფულები ხარჯეს მათ მთელი ამ დროის განმავლობაში ქვეყნის საზიანოდ! თავის ხალხს ართმევდნენ და ევროპელი პენსიონერები რომ გაეძარცვათ, რა შეუშლიდათ ხელს ამაში? კეზერაშვილი ცოტა ხანში ალაპარაკდება და ამ ფულებს სად ხარჯავდა, რისთვის ხარჯავდა, აუცილებლად იტყვის... ბოლო-ბოლო, მასაც დაიჭერენ და ყველაფერს ათქმევინებენ.

– არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მმართველი გუნდი საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით გამოვიდა და ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას სამომავლოდ საკანონმდებლო დონეზე განიხილავს. გარდა ამისა, უნდა გაიზარდოს რელიგიის როლი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში და საზოგადოება, ხელისუფლება და ეკლესია ერთად უნდა დადგეს... ამ შემთხვევაში როგორ გესახებათ რელიგიური უმცირესობების როლი ქართულ რეალობაში?

– ყველა ცივილიზებულ განვითარებულ ქვეყანაში ოჯახის პატივისცემა, ოჯახის სიწმინდე არის უპირველესი. მართალია, რადიკალურად განწყობილი ძალები ბედავენ და ამაში სახელმწიფოს ხელს უშლიან, მაგრამ არაფერი გამოუვათ, ისე, როგორც არაფერი გამოუვიდათ „გამჭვირვალობის კანონის“ მიღების შემთხვევაში, რადგან ხელისუფლება აბსოლუტურად პრინციპულ პოზიციაზეა იქ, სადაც ამის საჭიროებაა! მეც ათასობით ადამიანთან ერთად ვიყავი ოჯახის სიწმინდის დღეს მსვლელობაზე და შენიშვნაც მივეცი ჩვენს მუსლიმ საელჩო პირებს. როცა ქვეყანაში ასეთი საკითხი წყდება, შეიხები და იმამებიც მართლმადიდებელი ეპისკოპოსების გვერდით უნდა იდგნენ ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ამ საქმეში ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, ისე მუსულმანები და სხვა ტრადიციული რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები! ჩვენ ვნახეთ, ბოლოს ხელისუფლებამ წამოჭრა საკითხი, რომ უნდა განისაზღვროს ეკლესიის როლი სახელმწიფოს მშენებლობაში. ამ საკითხზე ძალიან კარგად ისაუბრა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ახალციხეში. რელიგიის როლი ნამდვილად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მშენებლობაში, მხოლოდ აქ, მართლმადიდებლებთან ერთად, სხვა ტრადიციული რელიგიების როლიც უნდა გამოიკვეთოს. ჩემი აზრით, ამაზე კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა ისაუბრონ.

– როგორ ფიქრობთ, რა შედეგებით დასრულდება მომავალი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში?

– ხშირად დავდივარ რეგიონებში და ვხედავ, თუ რა კეთდება ყოველდღიურად ქვეყანაში. ქვემო ქართლის მაგალითი რომ ავიღოთ, ის იყო ერთ-ერთი ყველაზე გაუბედურებული რეგიონი წლების წინ, განადგურებული ინფრასტრუქტურით, სადაც 14 სოფელს ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და სასმელი წყალიც კი არ მიეწოდებოდა. დანგრეულ გზებსა და ინფრასტრუქტურაზე აღარაფერს ვამბობ. როცა ქვემო ქართლის, ყარაბულახის წყალი ცნობილია მთელ საქართველოში, თავისი გამორჩეული გემოთი და ხარისხით, ხალხს სასმელი წყალი არ ჰქონდა! დღესდღეობით ისე მოწესრიგდა და შეიცვალა ყველაფერი ქალაქებსა თუ რეგიონებში, რომ თვალსა და გულს უხარია და ეს ყველაფერი ჩვენი ხელისუფლებისა და ადგილობრივი დეპუტატების დამსახურებაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელისუფლება პიარტექნოლოგიებში მოიკოჭლებს და საზოგადოებამდე სრულად ვერ მიაქვს ის სიკეთეები, რასაც აკეთებს. მაგალითად, სოფლებში ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ უამრავი დაავადების მკურნალობა და ოპერაციები ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და ძალიან ბევრი რეფორმა გატარდა ჯანდაცვის სფეროში. ჩემი აზრით, ამისათვის ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა გაავრცელოს სპეციალური ბუკლეტები რეგიონებში, თუ რა რეფორმები ჩატარდა და კიდევ რა სიახლეა მოსალოდნელი სისტემაში. ამაზე უნდა იმუშავონ ადგილობრივმა დეპუტატებმაც. კარგი იქნება, თუ ცენტრალურ და ადგილობრივ ტელევიზიებში მოიწვევენ ეროვნული უმცირესობების ცნობილ სახეებს, რომლებიც დელაპარაკებიან საზოგადოებას, აუხსნიან ამ ერის პრობლემებს, შესთავაზებენ მათი გადაჭრის გზებს და პირიქით, ეთნიკურ უმცირესობებს ხელისუფლების სტრატეგიას და სამოქმედო გეგმებს გააცნობენ. ეს საჭირო და აუცილებელიც არის, რადგან „ვაი ოპოზიციური“ ტელევიზიები თუ ინტერნეტ ტელევიზიები უკვე აქტიურად მაუწყებლობენ რეგიონებში და „დავალებებსაც“ წარმატებით ასრულებენ. რეალურად კი არის იმის რესურსი და საშუალება, რომ „გამოგვიყენონ“ ის ადამიანები, რომლებიც 2007 წლიდან აქტიურად ვიყავით ჩართული პოლიტიკაში, რომლებიც ტერორს და სიკვდილს არ შევუშინდით, ფულსა და თანამდებობებზე არ გავიყიდეთ და დღემდე „ქართული ოცნების“ ერთგული დავრჩით, ვისაც მხოლოდ მშვიდობა და ქვეყნის სტაბილური განვითარება გვინდა.

„ქართული ოცნება“ არის ხალხის ხელისუფლება, იმედია, ამას საზოგადოება სათანადოდ დააფასებს და მმართველი გუნდი კვლავაც კონტიტუციურ უმრავლესობას მოიპოვებს. ეს იქნება მთელი ქართველი ხალხის ნება. რა თქმა უნდა, სერიოზული მუშაობა მართებთ ჩვენს საკონსულოებს საზღვარგარეთაც, სადაც ბევრი ჩვენი თანამემამულეა, რადგან არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენს ემიგრანტებს ყალბ ინფორმაციას აწვდიან და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ განაწყობენ.

მთავრია, რომ საქართველო სწორი გზით მიდის და ამ გზაზე ჩვენს ტრადიციულ ფასეულობებს ვინარჩუნებთ. რომელი ეროვნების წარმომადგენელიც უნდა იყოს, ვინც საქართველოს თავის საშშობლოდ მიიჩნევს, ხმა უნდა მისცეს ქვეყნის სტაბილურ განვითარებას და მშვიდობიან მომავალს. იმედი მაქვს, საზოგადოება მართებულ გადაწყვეტილებას მიიღებს!

ნონა ქარქაშაძე

აქეთ-იქით უშედეგო ხეტიალით, შესაძლოა, სადღაც გზაში საქართველო დავკარგოთ

„ჩვენი სახელმწიფო, დღესდღეობით, დასაშლელად არის განწირული და არ ვიცი, რა იქნება 10-20 წლის შემდეგ, თუ ხელისუფლება ეროვნულ ინტერესებზე არ გადაერთო“, – ასე მიიჩნევდა 11 წლის წინათ, პოეტი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, „საერთო გაზეთის“ რედაქტორი ***ვახტანგ ხარჩილავა,*** *რაზეც მან გაზეთ „რაო-რაოსთან“ ისაუბრა. ეს ის პერიოდია, როდესაც „ქართული ოცნება“ სულ რაღაც ერთი წლის მოსულია ხელისუფლებაში და ჩვენი ქვეყანა ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამს. მას შემდეგ ქართული რეალობა, გარკვეულწილად, შეიცვალა, თუმცა ბევრი საკითხი დღემდე აქტუალურად რჩება...*



– ბატონო ვახტანგ, რამდენიმე დღის წინ ხელი მოეწერა საქართველოს ევროპასთან ასოცირების პარაფირებას, რასაც ისტორიული მოვლენა უწოდეს. რას უნდა ელოდოს ქართული საზოგადოება ამ მოვლენისაგან?

- ევროპასთან ასოცირების პარაფირება მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ ეს არ არის ხელმოწერა ხელშეკრულებაზე და ისეც არ უნდა გავაზვიადოთ, რომ უდიდეს სახალხო და ეროვნულ მოვლენად ვაქციოთ. ევროსაბჭო გაეცნო ტექსტს, რომელსაც ოდესღაც ხელი უნდა მოაწეროს, მაგრამ მანამდე ჩვენ „საშინაო დავალებების“ შესრულება მოგვიწევს. კომუნისტურ –კომკავშირული აჟიოტაჟის ატეხვა – არიქა, გვეშველაო – არ ვარგა, არც ჩვენთვის, არც ევროკავშირისათვის და არც ჩვენი დიდი მეზობლის, რუსეთის გასაღიზიანებლად, რადგან, ვიდრე ევროკავშირში შევალთ, შესაძლოა, ჩვენგან აღარაფერი დატოვონ. რას გვაძლევს და რას გვართმევს ევროკავშირში გაწევრიანება, ეს ცალკე სადავო საკითხია, მაგრამ, დავუშვათ, დღესვე რომ გავხდეთ მათი წევრი, მათი თანასწორი ხომ უნდა ვიყოთ? რით შევდივართ ევროკავშირში, – ჩვენი გაჩანაგებული ეკონომიკით? მოუწესრიგებელი საგარეო ურთიერთობებით?



დაკარგული ტერიტორიებით? 800 ათასამდე გაღატაკებული, უმუშევარი ადამიანით, თუ იმით, რომ დღემდე სამართლიანობის აღდგენა ვერ მოვახერხეთ?

მიმოვიხედოთ გარშემო – ალყაშემორტყმულები ვართ, გამოთოფილები! საინტერესოა, რუსულ ჯარებთან და ტანკებთან ერთად შევდივართ ევროკავშირში თუ ამოვჭრით ამ ტერიტორიას და ისე?

- იქნებ, ამ პრობლემების მოგვარებაში თავად ევროკავშირი დაგვეხმაროს?

- ევროკავშირს თავისი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები აქვს რუსეთთან და ჩვენს გამო მას ვერ გადაიმტერებს. ჩვენი მოსაგვარებელია ეს პრობლემები და უამისოდ ნატო-სა და ევროკავშირზე ფიქრი არარეალურია. არაერთი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ ხელისუფლების მოუზომავმა, უტვინო განცხადებებმა კონკრეტული ადამიანები და ოჯახები შეიწირა. ჩვენმა პოლიტიკოსებმა სერიოზულად ფიქრი როდის უნდა დაიწყონ? არასაქმიანი და არასერიოზული გამოხდომები, ხელოვნური დღესასწაულები და ზეიმი სირცხვილია, საქმეს მივხედოთ – საქმეს, ერთმანეთის მოტყუებას თავი დავანებოთ!

რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ ხელშეკრულებიდან 49-ე მუხლი ამოიღეს, სადაც ეწერა, რომ პარაფირების ამოცანების შესრულების შემდეგ, გარანტირებულად შევდიოდით ევროკავშირში? – როგორც უნდა შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული ამოცანები, ეს არ იქნება გარანტია იმისა, რომ ევროკავშირში შევალთ. ეჭვი მიჩნდება – რუსეთზე ხომ არ მუშაობენ ეს დალოცვილები? მათი ერთ-ერთი პირობაა, რომ, ვიდრე ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ, ჩვენი არალეგალები უნდა გამოვიყვანოთ ევროპიდან. რომ გამოვიყვანოთ, სად წავიყვანოთ? ამ ადამიანებს აქ დასაბრუნებელიც აღარ აქვთ – სამსახურს შევთავაზებთ თუ საცხოვრებელს? შოკისმომგვრელი პირობაა ეს, ჩემი აზრით, რადგან თუ შენს ოჯახში მიღებ, პატივცემულო, ჩემიანებს, ვინც მანდ არიან, აქეთ რატომ ყრი? მაგრამ ქართველები საკმაოდ ნიჭიერები და მოხერხებულები აღმოჩნდნენ, თან, თურმე, კრიმინალისკენაც ყოფილან მიდრეკილნი და მათი ევროპიდან გამოყრით ვინ რჩება მოგებული? გარდა ამისა, ნათლად და კატეგორიულად ითქვა, თუ ევროპელობა გინდათ, გენაცვალე, კავკასიურ შურისძიებას თავი უნდა დაანებოთო, რაც იმას ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილს თითს ვერ დავაკარებთ, რადგან მათი წარდგენილი იყო სააკაშვილი და ხელს არ აძლევთ მისი დასჯა. ანუ, უარი უნდა ვთქვათ დამნაშავის დასჯაზე და მკვლელსა და მამაძაღლს, რომელმაც 300 ათასამდე ადამიანი ციხეში გამოამწყვდია და ასობით ახალგაზრდა ქუჩაში დახვრიტა, პასუხი არ უნდა მოვთხოვოთ. მეტი ღირსების გრძნობა რომ გაგვაჩნდეს, ვერ უნდა გაებედათ ეს ჩვენთვის. თუმცა, თუ მათ ყველა მოთხოვნას პირნათლად შევასრულებთ, კიდევ სადავო იქნება, შევალთ თუ არა დიდ ევროპულ ოჯახში. მოდით ახლა და, დავუკრათ ტაში და დავლური ჩამოვუაროთ!

ჩვენ დღემდე ვერ გავიგეთ დემოკრატიისა და სუვერენიტეტის გემო, რადგან არა ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა. რუსები კი ღიად გვიპირისპირდებიან და ვიცით, მაგრამ სხვები ვინ არიან, ვინც ამ ქვეყანას მართავენ? ვინ გვიწერს სიებს და გვინიშნავს ვიღაც-ვიღაცებს? ან ეს არასამთავრობოები – ხელისუფლებაზე უფრო დიდი ხელისუფლება – ვინ მოგვიჩინა, ვინ აფინანსებთ მათ?!

- ბატონო ვახტანგ, ნაციონალების ხელისუფლების მიერ დაზარალებული მოსახლეობა დამნაშავეთა დასჯას ითხოვს, თუმცა, მათდამი ლოიალური დამოკიდებულება და ეგრეთ წოდებული კოჰაბიტაცია, ამის ერთგვარი ხელისშემშლელი პირობაა. დასავლეთი მეტ ჰუმანურობას მოითხოვს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან...

- მე ის მაღელვებს, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და მნიშვნელოვან საკითხებს დამოუკიდებლად ვერ ვწყვეტთ. თუნდაც ის, რომ კოჰაბიტაციურ რეჟიმში ვცხოვრობთ, ხომ არ ყოფილა ჩვენი არჩევანი? ახლა გამოგვიცხადეს, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის ამოქმედება გადავადდა, რაც ნიშნავს, რომ სამართლიანობის აღდგენაზე უარს ამბობ. მე იმის მეშინია, რომ იმედდაკარგულმა ადამიანებმა თვითონ არ მოინდომონ ამის გაკეთება. ბიუჯეტის ფული მილიარდობით ღირებულების წართმეული ქონების დაბრუნებას ვერ გაწვდება, მაგრამ, რომ ამბობ, 2 მილიარდი ამას აქვს წაღებული, 3 მილიარდი – იმასო, ზოგს საბანკო ანგარიშზე უდევს და ზოგსაც სასახლე აქვს ხალხის ფულით წამოჭიმული, კეთილი ინებე და კანონის ძალით მოსთხოვე მათ პასუხი, მაინცდამაინც ფრანგებს უნდა დაეჭირათ ადეიშვილი? თვითონ არ გაუშვეს აქედან?

ყველაზე დიდი უბედურება, რაც "ნაციონალურმა მოძრაობამ" დაგვმართა – ერის სულიერი გაპარტახების მცდელობა, ამ ხნის განმავლობაში ანალიზის დონეზეც არ განუხილავთ. უამრავი უდანაშაულო ადამიანი ჩაყარეს ციხეში, უმეტესად, ახალგაზრდები – ჩვენს გენოფონდს მიადგნენ და გაანადგურეს ეროვნული ფასეულობები. ახლა კი ვიღაცები ცდილობენ, რომ ეს ყველაფერი სამართლიანობის აღდგენის თემამდე დაავიწროვონ. კი ბატონო, სააკაშვილს ნუ დაემსგავსები, უდანაშაულებს ნუ დაიჭერ, მაგრამ სააკაშვილზე უარესიც ნუ იქნები იმით, რომ დამნაშავეს

საპარლამენტო ტრიბუნიდან ალაპარაკებ!

რას ვერ გაგვიგებს "საერთაშორისო თანამეგობრობა", ნაკლებად მაინტერესებს, რას ვერ გაგვიგებს ქართველი ხალხი – ეს უნდა იყოს ჩვენი ამოსავალი. ქუჩაში რომ ვიღაც გარეწარმა დედა შეგაგინოს და თავზე დაგაფურთხოს, სახლმმართველისგან უნდა აიღო ნებართვა, აპატიო თუ არა მას ეს შეურაცხოფა? მაშ, რატომ გავრბივართ ქართველები მუდამ ვიღაც „სახლმმართველთან" უფლების ასაღებად, დავიცვათ თუ არა საკუთარი ღირსება? იმ ფაქტმა, რომ ჩვენს მიერ არჩეული ხელისუფლება დათმობებზე წავიდა, ქართველი ხალხის დიდი ნაწილის უნდობლობა გამოიწვია. კოჰაბიტაციის პროცესი, სინამდვილეში, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული და მიზანსაც მიაღწია.

– არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა "ქართული ოცნების" მიერ წარდგენილ თბილისის მერობის კანდიდატთან დაკავშირებით. ზოგს მიგაჩნია, რომ თბილისის მერი აუცილებლად თბილისელი უნდა იყოს. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– როცა სოციალურ ქსელში შეიხედავ, სიცოცხლე აღარ მოგინდება კაცს, იმდენად პროვინციალური, სნობისტური და არაქართულია საზოგადოების მსჯელობა ამა თუ იმ საკითხზე. ვიღაც-ვიღაცებს დაავიწყდათ, რომ თბილისი ჩხოროწყუ არ არის, ის დედაქალაქია და ყველას ეკუთვნის. გვახსოვს თბილისელი მერი ნიკო ლეკიშვილი და იმდროინდელი დედაქალაქი, რომელსაც "ნიკოსიას" ეძახდნენ, რადგან ამ ქალაქში ყველაფერი ნიკოსი იყო.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების თბილისის მოსახლეობის აღწერამ აჩვენა, რომ თბილისელების 65% სომეხი იყო, მხოლოდ 15% იყო ქართველი, დანარჩენები კი – სხვა ერები. ისტორიული ბედუკულმართობის გამო მხოლოდ მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო თბილისის „გაქართველება", მანამდე კი "თბილისელის" სახელს ადვილად შეეხიზნა ათასი ჯურის არაქართველი. ეს არის პროვინციალურად გაგებული ცნება – "თბილისელი", რასაც შემდგომში ხელი შეუწყო იაფფასიანმა და მდარე ლიტერატურამ დედაქალაქის შესახებ, რომელსაც სომხური იდეოლოგია მართავდა. კარგა ხანია, სომხური იდეოლოგიით იმართება საქართველო, მაგრამ ჩვენ, ბედოვლათი ქართველები, ყოველთვის ყველაზე გვიან აღმოვაჩენთ ხოლმე, რას შემოგვაპარებენ. იმის მაგივრად, რომ არაქართველებისთვის ქართული გვესწავლებინა და გაგვექართველებინა, თვითონ დავიწყეთ სომხურ კილოზე ლაპარაკი. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ესოდენ მიღებული და გავრცელებული „ტო" თბილისში. ამიტომ გვეხამუშება „არათბილისელი" და მისი კილოკავიც.

– რაც შეეხება სამეგრელოს – სულ ახლახან, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც ზუგდიდში გამართულ შეხვედრაზე აღნიშნავენ, რომ არსებობს მეგრული ენის გადაშენების საფრთხე, რის გამოც მეგრულს რეგიონული ენის სტატუსი, სამეგრელოს კი – ავტონომია უნდა მიენიჭოს. როგორ ახსნით ამ შემაშფოთებელ განცხადებას?

– ამის გაფიქრებაც არასდროს ყოფილა სამეგრელოში, მაგრამ პრობლემა არსებობს და ამის გამოძახილია რამდენიმე ადამიანის მიერ წამოსროლილი ეს სისულელე. თუნდაც ის, რომ ზუგდიდელს თბილისი მერად არ მიიღებს, წყენას ხომ გააჩენს მეგრელი კაცის გულში? ამით მას ეუბნები, ჩემიანი არ ხარო, ვიღაც ტვინგაცხელებულმა კი შეიძლება ვერ მოზომოს და თქვას, თუ შენიანი არა ვარ, შენთან არ ვიქნებიო.

რა თქმა უნდა, მეგრულ და სვანურ ენებს გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა სჭირდება, რადგან ისინი საქართველოს ისტორიული ძეგლებია, მაგრამ ამის გამო სამეგრელოს ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადება და მეგრულისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება როგორ შეიძლება? ეს საქართველო ვისი შექმნილია? მეგრელების შექმნილი არ არის, სხვებთან ერთად? საკუთარ თავს გამოუცხადებს სეპარატიზმს მეგრელი, თუ ის ნორმალურია? ეს სისულელეა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერა და ვერ შევიკარით სახელმწიფოდ და ეს არის ჩვენი პრობლემა. მეტი ინფორმაციაა საჭირო ამ პატარა ქვეყანაში, რათა სხვადასხვა კუთხის შვილები ერთმანეთს უკეთ იცნობდნენ. გაუცხოება გაუგებრობიდან იწყება და თუ ერთმანეთს ავუხსნით, რომ ჩვენ ერთნი ვართ, ერთ ფესვზე ამოსული ნაყოფი, გაუგებრობაც ნაკლები იქნება. არ გვესმის, რადგან არავინ გვითხრა, რომ მეგრულსა და ქართულ ენებს შორის უამრავი მსგავსებაა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ჩვენ ერთიანობას. ერთი და იგივე წარმომავლობის არ არის „ქობალი" და „ხორბალი"? აბა, დააკვირდით!

მე, მაგალითად, არ ვიცი კარგი მეგრული, იმიტომ კი არა, რომ თბილისში დამავიწყდა, ჩემი და უფროსი თაობის ადამიანებმა აღარ იციან ღრმა მეგრული, რადგან ის გზადაგზა დაიკარგა და სხვა სიტყვებს შეერია. მეგრულად ახლა მხოლოდ სოფლებში თუ ლაპარაკობენ.

თითქოს ქვეყნის ეკონომიკაზე კეთდება აქცენტი, მაგრამ პარალელურად, ჩვენი კულტურული ფასეულობები თუ დავივიწყეთ, ეკონომიკაც უკან დაგვრჩება და ქვეყანაც, რადგან აქეთ-იქით უშედეგო ხეტიალით, შესაძლოა, სადღაც გზაში საქართველო დავკარგოთ. მწერლების, მეცნიერებისა და პოლიტიკოსების ვალია, რომ გარკვეული კონცეფცია ჩამოაყალიბონ, რითაც მსგავსი პრობლემები აღმოიფხვრება.

– სწორედ ქართულ მწერლობაზე მინდოდა მეკითხა. როგორ შეაფასებდით ქართულ მწერლობაში არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობას?

– ქართულ მწერლობაშიც იგივე მდგომარეობაა, რაც სახელმწიფოში, მწერლობის მიზანმიმართული ნგრევა და დაკნინება-დაბეჩავების პროცესი მიმდინარეობს. არიან ძალები, ვისაც არ უნდა, რომ საქართველო შემდგარი სახელმწიფო იყოს, ცდილობენ, ქართველმა ერმა უარი თქვას თავის ფესვებზე, სახეზე, მეობაზე... სამიზნედ კი მწერლობა შეარჩიეს, საიდანაც ერის კულტურა და თვითმყოფადობა იწყება.

ამ ხელოვნურად შეთითხნილმა პოლიტიკოსებმა, ავანტიურისტებმა, რომლებსაც პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვთ, გლობალური გეგმის განსახორციელებლად მწერლობის ხერხემალში გადამტვრევა განიზრახეს, გვითხრეს, თქვენ არავინ ხართო და მთლიანად განდევნეს მწერლობა, ლიტერატურა და ყველაფერი ღირებული კულტურული სივრციდან, დაიწყეს უწმაწური და უცენზურო ტელეგადაცემების პროპაგანდა და ისე გაგვათახსირეს, რომ ქართველი, რომელიც დედის შეგინებისთვის კაცს მოკლავდა, საკუთარ დედას თვითონ აგინებს, რადგან ეკრანიდან ესმის ეს ყველაფერი და ფიქრობს, რომ მისაღებია.

– არამხოლოდ ეკრანიდან, თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედებაც გაჯერებულია პათოლოგიური ისტორიებით. ბევრი ახალბედა შემოქმედი თავის დამკვიდრებას პორნო ლიტერატურით ცდილობს, სადაც ქართული სინამდვილისთვის არარეალური ფაქტებია აღწერილი...

– ერთია, რომ თავის დამკვიდრებას ცდილობენ, მაგრამ ისინი ხვდებიან, რომ ეს პროდუქცია „გაყიდვადია", რადგან ქვეყანაში, სადაც ხელს უწყობენ და პროპაგანდას უწევენ ფსევდო მწერლობას, მათი ბინძური „შემოქმედებაც" ერის გადაგვარება-განადგურების გეგმის ნაწილია, მიზანმიმართული მცდელობაა ქართული სახელმწიფოს ნგრევისა.

კომუნისტების პერიოდში არსებობდა ასეთი „მოძღვრება" – „მოვკლავ დედას და დავახრჩობ მამას, თუკი პარტია მოითხოვს ამას". ასეა ამ შემთხვევაშიც. სოციალიზმიც ასეთივე, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული სისტემა იყო. დრო შეიცვალა, მაგრამ გასული ცხრა წელი ზუსტი ასლი და გამოძახილი იყო მეოცე საუკუნის 30-იანი წლებისა, არაადამიანურობისა და რეპრესიების ჩათვლით.

– მაინც, რა ღონისძიებები ტარდება ქვეყანაში ახალი თაობის მწერლების გამოსავლენად? სავარაუდოდ, ამ მიზანს ემსახურება ლიტერატურული კონკური „საბა", რომელიც უკვე ტრადიციად დამკვიდრდა...

– ლიტერატურული კონკურსი „საბა" – ეს არის პრემია ჩამოტარებით, გარკვეული ჯგუფის საძმაკაცოზე. რამდენიმეკაციანი ჯგუფი, რომელიც ამ საქმეს განაგებს, სარგებლობს საძმაკაცოს მიერ მისაკუთრებული უფლებებით და არიგებს პრემიებს საახლობლოში. ამიტომ ხდება, რომ ერთი და იგივე ადამიანს ორჯერ და, ზოგჯერ, მეტჯერაც ანიჭებენ ერთსა და იმავე სახეობის პრემიას. იშვიათად უცხოსაც გამოურევენ ხოლმე, რომ ხალხს სალაპარაკო არ ჰქონდეს. ამ ყველაფერს კი დიდი პომპეზურობით აკეთებენ, რაც ძალიან სამარცხვინოა.

უკეთესს რას უნდა ელოდე, როცა კულტურის სამინისტროსაც არა აქვს ოფიციალური ვალდებულება ქართული მწერლობის მიმართ. ქვეყანაში სტრუქტურა არ არსებობს, ვინც მწერალთა საქმიანობას განიხილავს. ხელები დაიბანა მწერლებზე სახელწიფომ ცხრა წლის განმავლობაში და არც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შეცვლილა რამე, სამწუხაროდ!

ჩვენი სახელმწიფო, დღესდღეობით, დასაშლელად არის განწირული და არ ვიცი, რა იქნება 10-20 წლის შემდეგ, თუ ხელისუფლება ეროვნულ ინტერესებზე არ გადაერთო. კარგი არც მათ მოელით, მაგრამ ჯანდაბას მათი თავი, ქვეყანას დაგვინგრევენ, თუმცა, დანგრეულები არა ვართ?! პროვინციალიზმის ჭაობში ვიძირებით! შეხედეთ ჩვენს გადაცემებს, ჩვენს შოუებს შეხედეთ, ჩვენს ელიტას შეხედეთ – ელიტას!

ნონა ქარქაშაძე

2013 წელი. გაზეთი „რაო-რაო"

ციხისწამებაზე პასუხისგება უნდა გამკაცრდეს

კანონს და მას ანტიდემოკრატიულს უწოდებენ. ესეც პოლიტიკური შეფასებაა, სამართლებრივად ვერაფერს ადასტურებენ და გაიძახიან, ასე მიგვაჩნიაო. ამიტომ, მათ ჭკუაზე ვიაროთ და საქართველოს ინტერესები არ გავითვალისწინოთ?! მესამე, რაც მთავარია, ეს არის პარალელის გავლება რუსულ კანონთან. კი ბატონო, რუსეთში მსგავსი კანონის მიღებამ მართლაც გამოიწვია არასამთავრობოების განადგურება – ზოგს იჭერენ, ზოგიც ქვეყნი-

გვესაუბრება უფლებადამცველი, საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **გელა ნიკოლაიშვილი:**

— ბატონო გელა, „ერთიანმა ნეიტრალურმა საქართველომ“ რამდენიმე დღის წინ განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ ევროკავშირში მიღების გზა ოთხ პირობაზე გადის. რა რისკებს შეიცავს ყოველივე?

— 2016 წელს საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილება შევიდა, რაც მიზნად ევროატლანტიკურ სივრცეში ჩვენ გაწევრიანებას ისახავდა. იმ პერიოდში საქართველოშიც და მსოფლიოშიც სრულიად სხვა ვითარება იყო. მაშინ დასავლეთი ჩვენი ქვეყნისგან რეალურად ევროპული ფასეულობების დამკვიდრებას, პატივისცემას ითხოვდა, როგორებიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატია და სხვ. ბოლო წლებში, განსაკუთრებით უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. უკრაინა და მოლდოვა ყველა კვლევებით საქართველოს ბევრად ჩამორჩება როგორც დემოკრატიის ხარისხით, ისე მედიის თავისუფლებით, ეკონომიკის განვითარებით და ა.შ. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოლაპარაკებების გახსნაზე უარი უთხრეს, მოცემულ ორ ქვეყანასთან კი ეს პროცესი დაწყებულია, რაც მიუღებლად მიმაჩნია.

ჩვენს მიერ გავრცელებულ განცხადებაში დავასახელეთ ევროკავშირისთვის პრიორიტეტული ოთხი მოთხოვნა: ლგბტ იდეოლოგიის ხელშეწყობა, ხელისუფლებაში აგენტურის მოყვანა, მიგრანტების უკონტროლო შემოდინება და მედიის დამორჩილება. დასავლეთის მხრიდან დემოკრატიის უკუსვლაზე საუბარი მხოლოდ ფარსია. სინამდვილეში არავის აინტერესებს აქ არც დემოკრატიის ხარისხი, არც ადამიანის უფლებების დაცვა ან მედიის თავისუფლება. სურვილი ერთია – დასავლეთის ყველა ზემოჩამოთვლილი მოთხოვნა უპირობოდ შესრულდეს. პარტნიორები დაჟინებით მოითხოვენ, ჩვენი ინტერესები უნდა გაითვალისწინოთ და არა საკუთარი ქვეყნისო. ანუ, პრიორიტეტი დასავლეთის ინტერესებია. ასევე მიგვითითებენ, შევუერთდეთ რუსეთისთვის სანქციების დაწესებას, მხოლოდ ის კანონები მივიღოთ, რასაც გვეტყვიან, გავხსნათ მეორე ფრონტი...

მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენ არც ბალტიის ქვეყნები ვართ და არც პოლონეთი, რომლებიც საქართველოსგან განსხვავებით, ნატო-ს წევრები არიან. რუსეთთან დაპირისპირებით საკმარისი გამოცდილება გვაქვს მიღებული. თუნდაც შევხედოთ, რა მიიღო უკრაინამ? – მხოლოდ იარაღი, ასიათასობით მსხვერპლი, ჩამოქცეული ეკონომიკა... ის 40-მილიონიანი ქვეყანაა და მიუხედავად იმისა, რომ 30 მილიონზე ნაკლები მაცხოვრებელი დარჩა, პრობლემებს ჯერჯერობით უმკლავდება. ჩვენი, 3,5 — მილიონიანი ქვეყანა ამას ვერ გაუძლებს. მეორე ფრონტის გახსნის შემთხვევაში საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებს. ამ ვითარებაში მიმაჩნია, რომ ბრმად, ყველაფერზე თავის დაქნევით ევროკავშირში შესვლა არასწორი იქნება. თან გვეუბნებიან, 2030 წლამდე ვერ მიგიღებთ, მანამდე კი, ჩვენი მითითებები უნდა შეასრულოთო. არავინ იცის, 2030 წელს რა მოცემულობა იქნება. როცა კონსტიტუციაში ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანება პრიორიტეტად გიწერია, ეს ავტომატურად შემდეგს გულისხმობს: თუ ევროკავშირი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას იმ მოტივით მოგვთხოვს, რომ მერე თავის ოჯახში მიგვიღოს, როგორ მოვიქცევით?! გამოდის, რომ კონსტიტუციის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოგვიწევს. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ეს შესაძლოა, ქვეყნისთვის სახიფათო, დამღუპველი აღმოჩნდეს. ქვეყანა ფრთხილად უნდა იყოს, ყოველი ნაბიჯი შეფასდეს, თუ რამდენად წაადგება ქვეყნის ინტერესებს. ვიმეორებ, 2016 წელს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება შეიძლება მისაღები იყო, მაგრამ დღეს ყველაფერზე ბრმად დათანხმება ჩვენთვის დამაზიანებელი იქნება.

— პიტერ სტანომ ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის მეორე მოსმენით მიღება დაგმო...

— საქართველოს მიმართ ტენდენციური დამოკიდებულება, ორმაგი სტანდარტები მოქმედებს, მაგრამ ეს გასაკვირი არ არის. ანალოგიური მიდგომები აქვთ უნგრეთის, სლოვაკეთის მიმართაც, რომელიც მსგავს კანონს ახლა იხილავს. ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ გამოსვლები იყო პოლონეთშიც. ჩვენი ხელისუფლება მტკიცედ დგას. ევროპას სურს, საქართველო თავის ოჯახში ისეთი ტრადიციებით, კულტურით მიიღოს, რასაც ლგბტ პროპაგანდა ჰქვია. დასავლეთს სურს, ჩვენც გეი-პრაიდები ჩავატაროთ და გაუკულმართებული სექსუალური ცხოვრება ნორმად წარმოვაჩინოთ. საბედნიეროდ, საქართველოს მოსახლეობის 90%-ზე მეტისთვის ეს მიუღებელია. ნებისმიერ კანონში ქართველი მოსახლეობის სურვილი უნდა იყოს ასახული და არა ის, რაც ევროპელ ბიუროკრატს სწორად მიაჩნია.

ევროკავშირი ცალკეული ქვეყნების სუვერენული უფლებების წინააღმდეგ ილაშქრებს. ნებისმიერ გაერთიანებაში შესვლით სუვერენიტეტის რაღაც ნაწილს კარგავ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ ყველაფერზე წახვიდე. მაგალითად, ისტორია კარგად იცნობს შემთხვევას, როცა ნატო-ს ორი წევრი ქვეყანა – საბერძნეთი და თურქეთი ლამის ომის ზღვარზე იყვნენ, მათი ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. მაგრამ ორივემ თავისი ქვეყნის ინტერესები დაიცვა. ასე რომ, მართალია, ბევრი მტერი გაიჩინა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება სწორად იქცევა, როცა საკუთარი ქვეყნის ინტერესებს იცავს.

— საქართველოში ჩამოსულმა პარტნიორებმა გვითხრეს, რომ თუ არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, ბელარუსის სცენარს მივიღებთ.

— არსებობს საფრთხე, რომ არჩევნები არალეგიტიმურად ცნონ. სიტუაციის არევის მცდელობები იქნება. საქმე რევოლუციამდე, ალბათ, არ მივა. ქართული საზოგადოების იმედი მაქვს – თუ ხელისუფლება დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს, დასავლეთს რევოლუციის მოწყობის საფუძველი აღარ ექნება.

— 29 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლოში გამჭვირვალობის კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვა დაიწყო. ნჯო-ების ნაწილი სასამართლოში დავობს. რა შედეგი შეიძლება დადგეს?

— ჯერ ერთი, ნჯო-ები საზოგადოებას არასწორ ინფორმაციას აწვდიან, როცა ამბობენ, რეესტრში მხოლოდ 1,5% დარეგისტრირდაო. ანუ, თითქოს, 30 ათასიდა მხოლოდ 500-მდე არასამთავრობო დარეგისტრირდა. მე წარმოვადგენ არასამთავრობო ორგანიზაციას „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“. თუ ნჯო-ს უცხოეთიდან 20%-ზე მეტი დაფინანსება არ აქვს, მას დარეგისტრირების ვალდებულებაც არ აქვს. ბუნებრივია, ჩვენ არ დავრეგისტრირდით. ანუ, რეალურად 1% კი არა, შეიძლება ასეთი არასამთავრობოების 40% იყოს დარეგისტრირებული.

დავსვათ კითხვა: რა შანსი არსებობს, რომ ეს კანონი ანტიკონსტიტუციურად ცნონ? – არავითარი. ნჯო-ებს სამი არგუმენტი მოჰყავთ, რითაც ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს კანონი ანტიკონსტიტუციური, ანტიდემოკრატიულია. პირველი სახელდება 78-ე მუხლთან შეუსაბამობა, რაც ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს გაწევრიანებას გულისხმობს. მეორე მიზეზად ასახელებენ რუსულ კანონთან მსგავსებას, რამაც თითქოს სამოქალაქო საზოგადოების განადგურება გამოიწვია და მესამე მიზეზი გახლავთ უცხოელების მუქარა: თუ ამ კანონს მივიღებთ, მოლაპარაკებებს აღარ გაგვიხსნიან. რეალურად, მათი ყველა არგუმენტი პოლიტიკურია და არა სამართლებრივი.

გაუგებარია, რატომ ეწინააღმდეგება კანონი 78-ე მუხლს?! განა ვინმემ თქვა, ამ კანონს იმიტომ ვიღებთ, რომ ევროკავშირში არ გავწევრიანდეთო?! პირიქით, ეს გამჭვირვალობის კანონია, რაც ვერაფრით იქნება ანტიევროპული, ანტიდემოკრატიული. კანონი მხოლოდ ნჯო-ების დარეგისტრირებას ითვალისწინებს, რათა საზოგადობამ იცოდეს: ვინ რა თანხას იღებს და რაში ხარჯავს. მეორეც, ევროპელები გვიწუნებენ დან გარბის. მაგრამ რა შუაშია, რუსეთში როგორ მოქმედებს ეს კანონი? რუსეთშიც არსებობს სისხლის სამართლის კანონი ისევე, როგორც სხვაგან, ასევე, სამოქალაქო კოდექსი და ა. შ., მერე რა?! რადგან რუსეთში კანონმა ასე იმუშავა, იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოშიც ზუსტად ასე მოხდება. რუსეთში რეალურად არადემოკრატიული მმართველობაა, პუტინი ყველა საკითხს ერთპიროვნულად წყვეტს. საქართველოში მსგავსი არაფერი ხდება. იქ ოპოზიციური პარტიებიც შევიწროებულია და მედიაც. საქართველოში კი გაცილებით მეტი ანტისახელისუფლებო მედია გვყავს, ვიდრე პროსახელისუფლებო. ასეთი დემოკრატიის პირობებში ეს კანონი სამოქალაქო საზოგადოების განადგურებას ვერ გამოიწვევს. მთავარია, როგორ მუშაობს ესა თუ ის კანონი ამა თუ იმ ქვეყნაში.

მაგალითად, სააკაშვილის მმართველობის დროს ჩვენთან საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი შემოიღეს. ეს ამერიკული კანონი გახლავთ. ამერიკაში ეს კანონი კარგად მუშაობს – პროკურატურაც და ბრალდებულიც კმაყოფილი არიან, როცა საპროცესო შეთანხმებას აღწევენ. მაგრამ როგორ იმუშავა სააკაშვილის დროს ამ კანონმა? – ეს იქცა ბიზნესმენებისა და მოქალაქეების გაძარცვის ბერკეტების საშუალებად – ბიზნესმენები ნოტარიუსებში შუაღამისას მიჰყავდათ და ქონებას აფორმებინებდნენ. ეს კანონი საქართველოში დღესაც მუშაობს, მაგრამ სავსებით ნორმალურად. პროკურატურისა და ბრალდებულის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა და ამ კანონს აღარავინ უჩივის, ვიძარცვებითო. ასეა ნებისმიერი სხვა კანონიც. კანონი მაშინ არის საშიში, თუ ქვეყანაში დემოკრატია არ არსებობს. ჩვენს

ქვეყანაზე ვერავინ იტყვის, რომ აქ ვინმეს სიტყვის თავისუფლება წაართვეს, ან ქონებას უკანონოდ ართმევენ, ან მედიის თავისუფლება შეზღუდულია. ამიტომ ეს კანონი საფრთხეს არ შეიცავს. თუ ვინმე საწინააღმდეგოს ფიქრობს, ეს სამართლებრივი და არა პოლიტიკური საფუძვლებით უნდა დაასაბუთოს.

სახელმწიფოს აქვს ბერკეტი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ნჯო-ები დააჯარიმოს. რუსეთში ეს კანონი სისხლის სამართლის პასუხისგებას ითვალისწინებს. აქ ასე არ არის. ჩვენთან მხოლოდ ჯარიმებია. თუ ორგანიზაცია ჯარიმას არ გადაიხდის, მერე მის ქონებას ყადაღას დაადებენ, მოვალეთა რეესტრში შეიყვანენ და ოფიციალურად ფუნქციონირება აეკრძალება.

— ნჯო-ების ნაწილი უცხო ქვეყნებში რეგისტრირდება...

— ფაქტობრივად, ისინი ამით აღიარებენ, რომ იმ უცხო ქვეყნების ინტერესებს გამოხატავენ, სადაც რეგისტრირდებიან. ყველა ორგანიზაცია იმ ქვეყნის ინტერესს წარმოადგენს, სადაც რეგისტრირდება. ნჯო-ები აპროტესტებენ, უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებლების სახელი არ გვინდა დაგვერქვასო და ამ დროს უარესს აკეთებენ: პირდაპირ იქ რეგისტრირდებიან. შეიძლება ამით ჯარიმებისგან თავის არიდებას ცდილობენ. მათ ხომ ასე უფრო მარტივად უწოდებენ უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებლებს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს „სტიგმა“ მათთვის მაინც მეორეხარისხოვანია.

— „სირცხვილია“ რესტრში დარეგისტრირდა, თუმცა უდიდესი წნეხის ქვეშ მოექცა...

— „სირცხვილიას“ მიმართ ბულინგი, დაშინება, მუქარა, ჩვეულებრივი მოვლენაა. ის აიძულეს, რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. ბულინგი ლიბერალური ფაშიზმის გამოხატულებაა, რისი დასტურიც „სირცხვილიას“ მაგალითია. განსხვავებულად მოაზროვნეებს ბოლშევიკები, ფაშისტები კეთროვანებად აცხადებდნენ, საზოგადოებიდან რიყავდნენ. ახლაც იგივე მეთოდებით მოქმედებენ. ასეთი მიდგომა დემოკრატიისგან დაცლილია.

— რეგისტრაციაზე უარს არჩევნების დისკრედიტაციის მიზნით ამბობენ?

— ნჯო-ები, ერთი მხრივ, ამბობენ, მალე არჩევნებში სხვა ძალა გაიმარჯვებს და კანონს თვენახევარში გააუქმებსო. მაშინ, წინ რა უდგას დარეგისტრირებას? საქმე ის არის, რომ მათ იციან, ხელისუფლების ცვლილების შანსი მინიმალურია და ამიტომაც არ უნდათ დარეგისტრირება და ამ სტატუსით მოქმედება. თვენახევარში თუ კანონს გააუქმებენ, მაშინ რა პრობლემაა დარეგისტრირება?!

— „ისფედის“ კრიტიკული ანგარიში რამდენად ობიექტურია, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ აპირებენ, არჩევნები არალეგიტიმურად ცნონ?

— რა თქმა უნდა, სწორედ ამას ნიშნავს. ისინი არც უარყოფენ, რომ 27 ოქტომბერს მასობრივი გამოსვლებისთვის ემზდებიან. ახლახან გამოსვლები იყო ვენესუელაში, სერბეთში. დასავლეთს ე.წ. ფერადი რევოლუციების ახალი ტალღის გამოწვევა უნდა. თუმცა ბოლო წლებში ამას ვეღარ ახერხებს. თავის დროზე ეს ახალი ხილი იყო და მისი საწინააღმდეგო ანტიდოტი შექმნილი არ გახლდათ. დღეს ფერად რევოლუციებს ისეთი ძალა და მნიშვნელობა აღარ აქვს, შედეგად გამარჯვებას ვერსად ვეღარ აღწევენ.

— ბოლოს, რადიკალების ზიზღის კამპანიაზეც მინდა გკითხოთ. მათი მხრიდან ბულინგს, შურაცხყოფას ადამიანის გარდაცვალება მოჰყვა. ამ კონტექსტში უნდა ვახსენოთ ლაშა ბაქრაძეც... ამ გამოწვევის პრევენცია რა შეიძლება იყოს?

— ამის პრევენცია დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არსებობს. ერთადერთი, რაც შეიძლება გაკეთდეს, ცილისწამებაზე პასუხისგება გამკაცრდეს. ცილისწამება ჩვენს ქვეყანაში სისხლის სამართლებრივი დანაშაული არ არის, ის მხოლოდ ადმინისტრაციული წესით ისჯება. შესაძლოა, გამკაცრდეს უფრო სოლიდური ჯარიმის დაწესებით, ან ცილისმწამებელს მოეთხოვოს, აღნიშნული დაამტკიცოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხი აგოს თუნდაც ადმინისტრაციული წესით – სოლიდური თანხის გადახდით, ან რამდენიმედღიანი პატიმრობით. მთავარი მაინც საზოგადოების განწყობაა. ადამიანს ლაპარაკს, იარლიყების მიწებებას ვერ აუკრძალავ, მაშინ სიტყვის თავისუფლება უნდა შეზღუდო. ლაშა ბაქრაძეს რაც შეეხება, იგი იძულებული გახდა, თუნდაც ფორმალური ბოდიში მოეხადა, არადა ამტკიცებდა, საბოდიშო არაფერი მითქვამსო. ესეც საქმეა, რომ უკან დაიხია. ამ სტანდარტის დამკვიდრება, რომ ადამიანმა შეცდომის დაშვებისას ბოდიში მოიხადოს, ცუდი არ იქნება. თუმცა, ეს დამღა ბაქრაძეს ყოველთვის გაჰყვება. ორი დღის შემოსულია პოლიტიკაში და უკვე იაღლიში მოუვიდა. პოლიტიკოსები ფრთხილად უნდა იყვნენ. ისინი საკუთარ თავს თვითონ წირავენ. ვიმეორებ, ყველაფერი მაინც საზოგადოების განწყობებზეა დამოკიდებული.

თამარ შველიძე

ღია გაკვეთილი ხელისუფლებისა და ისტებლიშმენტისთვის

ეს წერილი ოლიმპიადის გახსნის მეორე დღეს დავწერე, მაგრამ მის დასრულებამდე არსად გამიგზავნია, რადგან სატანის შაბაშით აღფრთოვანებული პუბლიკის შემეშინდა. კარგად ვიცოდი ევროპული ინკვიზიციის კოცონები უფლის კარნახით კი არა, სატანის სურვილით ინთებოდა. ნამეტნავად მეშინია ცეცხლისა. არა მგონია, ეს წერილი ვინმემ გამოაქვეყნოს, მაგრამ ვაგზავნი მაინც. რა იცი, იქნებ...

P.S.

ე.წ. ოპოზიციის ე.წ. ფესტივალის შემდეგ, უილიამ შექსპირის შეგონება გამახსენდა: „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“. ხელისუფლებას ვურჩევ, არ დაივიწყოს ეს შეგონება.

მილიარდი ევრო დაიხარჯა იმისთვის, რომ პომპეზური საზეიმო ცერემონია დადგმულიყო საფრანგეთში ოლიმპიური თამაშების გახსნასთან დაკავშირებით. ამით მსოფლიოს ვაჩვენეთო, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა, -რანი ვართო და რა არისო საფრანგეთი. ვფიქრობ, მართალი თქვა ფრანგების პრეზიდენტმა. ჩვენმა ტელევიზიებმა საგანგებო გადაცემები მიუძღვნეს ამ მოვლენას და „იმედის“ ცნობილმა სპორტულმა კომენტატორებმა და არასპორტულმა პოპულარულმა ტელე სახეებმა აღტაცებით აღნიშნეს, რომ ბევრი ოლიმპიადის გახსნას შევსწრებივართ (ერთმა თქვა, ჩინეთშიც კი წავედი საამისოდო!), მაგრამ ასეთი სილამაზე და გრანდიოზულობა ჯერ არ გვინახავსო. გამიკვირდა და გული ჩამწყდა იმის გამო, რომ ეს საცოდავები ქართველი ქრისტიანები იყვნენ, ასე მეგონა აქამომდე და რომ მწარედ შევმცდარვარ. ესენი და უამრავი სხვაც, თურმე, 20-იანი წლების (XX საუკუნისა) მებრძოლი ათეისტების რეინკარნაციის გზით მოვლენილი ნეოტროცკისტები ყოფილან თურმე!

აბა, თუ ასე არ არის, რა უხარიოდათ? საცინრად აგდებული ქრისტიანული რწმენის (და საერთოდ, ღმერთის) უსაზიზღრესი ფორმით გაშარჟების სცენების ცქერა? ის სიამოვნებდათ, რომ სატანისტურ შაბაშში დაუსწრებლად მონაწილეობდნენ? დამშვიდდით, თქვენ თუ იქ არ იყავით, სატანა ხომ იყო თქვენში, მალე იგრძნობთ ამას!

მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რადგან მოიარებით იმაზე ლაპარაკი, რაც ოლიმპიურ თამაშების გახსნაზე მოხდა საფრანგეთში, დიდი და უპატიებელი ცოდვაა. ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ 26 ივლისს საფრანგეთში მოეწყო სატანისტური შაბაში, რაც მიმართული იყო ღვთის რწმენის ამოძირკვაზე, ქრისტიანული რწმენის წინააღმდეგ კი არა, საერთოდ, ღმერთის წინააღმდეგ. ამ შაბაშის ყველა მონაწილე მეტნაკლებად ცოდვილია და ყველა თავისი წილი ცოდვის საფასურს გადაიხდის.

ერთი ამბავი მოხდა გასული საუკუნის 20-იან წლებში გურიაში, და რაც ახლა საფრანგეთში გამეორდა, აი, იმ ამბის, სხვა ფორმით გამეორებაა. მებრძოლ უღმერთოთა ტროცკისტული ორგანიზაციის აქტივისტებმა გურიის სოფელ შემოქმედის ცნობილი ტაძრიდან ხატები გამოიტანეს, ეკლესიის კედელთან დაყარეს და ერთმა ნამეტნავად აქტიურმა მაუზერის ტყვია დაუშინა, თან გარშემო დარბოდა და დასძახოდა; აბა, რას მიზამ, აბა რას მიზამო! იქვე ერთი ხნიერი გურული კაცი იდგა და ამ სიგიჟეს მდუმარედ შესქეროდა. როცა იმ უღმერთომ მაუზერი იძრო, ტყვია დაუშინა ხატებს და უშიშრად გაჰკიოდა, აბა, რას მიზამო, იმ მოხუცმა დინჯად შეახსენა: გაგაგიჟა და მეტი რა უნდა გიქნასო.

როგორ დასრულდა 20-იანი წლების უღმერთოთა არული, ცნობილია ყველასთვის; ზოგი გაგიჟდა, ზოგი ეკლესიის გუმბათიდან გადმოვარდა, ჯვარს რომ ამტვრევდა, მაშინ, ზოგიერთებმა კი ერთმანეთი მიახვრიტეს 30-იანი წლების ცოდვის კითხვის დროს.

ასე იქნება ახლაც!

როგორც ჩანს, სატანიზმი ძალიან მოედო მსოფლიოს. ასე რომ არ იყოს, ღვთის მორწმუნე ქვეყნები ამ სატანისტური შაბაშიდან, რომელსაც ოლიმპიური სახე აქვს, თავიანთ დელეგაციებს გაიწვევდნენ. პროტესტი თითქმის ყველა ქვეყანაში გამოთქვეს, მაგრამ ეს იყო მათთვის ჩვეული აღშფოთება-შეშფოთება.

საყურადღებოა, რომ საქართველოში აღშფოთება მხოლოდ სასულიერო პირებმა გამოთქვეს, საერო მოღვაწეებისაგან ასეთი რამ არ მომისმენია.ეს იმაზე მიუთითებს რომ საფრანგეთში სატანისტური შაბაშის ცოდვა მარტო მაკრონებსა და მისნაირებს არ აწევთ. ამას თითქმის მთელი კაცობრიობა ინაწილებს მეტ-ნაკლებად, რადგან აშკარად გამოჩნდა, რომ მსოფლიო ეკლესიებსა და მეჩეთებში უამრავი ადამიანის ლოცვა და ღაღადი ფარისევლობაა მეტწილად, რადგან სატანისტურ შაბაშზე მოპოვებული ოქრო თუ ვერცხლი (მედლების სახით!) ამათუ იმ ქვეყნის ღირსებასა და სიძლიერეზე კი არ ღაღადებს, არამედ იმ სატანისტურ დამღაზე, რომლის მოცილება ძალიან გაუჭირდებათ!

ჩვენმა წინაპრებმა იმით მოიტანეს დღემდე ენა და მამული, საკუთარი ვინაობა და სადაურობა, რომ ეშმაკს არ მიჰყიდეს სული. ასი ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა ღვთის ერთგულებას მაშინ, როდესაც სიკვდილის შიშითაც კი ფეხი არ დაადგეს წმიდა ხატს.

ახლა? ტაშითა და ვაშათი ხვდებიან ამ ცოდვის ტრიალს, რომელიც თვალისმომჭრელად ბრწყინავს და გონება დაბნელებულ ხალხს ოქრო ჰგონია.

ახლა ერთი რიტორიკული შეკითხვა მაქვს ყველა პოლიტიკოსთან თუ არა პოლიტიკოსთან, რომლებსაც საკუთარი „შინ“ ევროპა ჰგონიათ, ევროკავშირი და ნატო კი — ბიბლიური სამოთხე. საით გვექაჩებით? იმ ოჯახში, რომლის სუფრის სათავეში საფრანგეთი და მისთანანი სხედან? ეს არის ჩვენი ხალხის არჩევანი, რომ სატანისტების შაბაშში პური გატეხონ, თუ იმ უღმერთო, ამიტომ უზნეო და სულით ხორცამდე წარწყმედილი ხალხის მარაქაში მამაპაპური ღირსებით აღსავსენი გავერევით! ვავა სკან და ჩქიმ ცოდა!

არ იქნება ასე! ახლა ის ჟამია, როცა უნდა გაირკვეს, ვინ არის ქართველი, ქრისტიანი, საერთოდ, ღვთის მორწმუნე, თუნდაც არაქრისტიანი და ვინ — ეშმაკის მიმდევარი. აქ გვარსა და წარმომავლობას მნიშვნელობა არ აქვს.

დღევანდელ ახალგაზრდებს ასე ჩააგონეს, რომ საბჭოთა კავშირი საშინელი ათეისტური სახელმწიფო იყო და ღვთის რწმენისათვის ადამიანებს ანადგურებდნენ. ასე იყო მართლაც 1939 წლამდე, მანამდე, ვიდრე სტალინმა უკანასკნელი ტროცკისტი ლიდერი, ნეოლიბერალური ტროცკისტულ-ლენინური ფაშიზმის ლიდერი არ გაუშვა (მიწაში), მაშინ აღადგინა საპატრიარქო და აკრძალა რწმენისთვის ადამიანების დასჯა: სწორედ ამან გადაარჩინა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხები ზნეობრივი გადაგვარებისა და ნეოლიბერალური გონებრივი დეგრადაციისაგან. ამან კარგა ხნით შეაჩერა ის სრული მარაზმი, რაც დღევანდელ ევროპასა და აშშ -ს ემუქრება. ამის შედეგი იყო სწორედ საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვება ფაშიზმზე. მას შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო მოხდა ტროცკისტული-სატანისტური „იდეოლოგიის“ რეინკარნაცია და, რადგან ცოდვით დამძიმებულ ევროპასა და აშშ- კანადაში სატანიზმისთვის ხელისშემქცევი კაცები აღარ არიან, უწმინდური ძალა ე.წ. ნეოლიბერალიზმის სახით პანდემიასავით მოედო ნახევარ მსოფლიოს. თითქოს ახდა რონალდ რეიგანის წინასწარმეტყველება: მომავალში ფაშიზმი თუ გამოჩნდა, მას უთოდ ლიბერალიზმის სახე ექნებაო. ასეა ზუსტად!. ეს არის ნეოლიბერალური ფაშიზმი!

კვლავ ვსვამ შეკითხვას ჩვენი ხელისუფლებისა და ისტებლიშმენტის წინაშე: რომელ გეზს გიჩვენებთ თქვენი კომპასის ისარი? ღვთისკენ თუ სატანისკენ, სიკეთისაკენ, თუ ცოდვის უძირო უფსკრულისაკენ?

არჩევანის გაკეთება ძნელი არ არის, ყველაფერი აშკარაა ყველასათვის, ვისაც მაგნე ძალისგან გონება არა აქვს დაბინდული!

ზურაბ ცუცქირიძე
თ —555 567 537-27 ივლისი

პუტინმა თვალი ჩაგვიკრა...

„აფხაზეთის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების დღემ ჭექა-ქუხილით, ელვითა და ბასტათი (რუსი რეპერი) ჩაიარა, მაგრამ ვლადიმირ პუტინის სახელით ოფიციალური მოლოცვა არ ყოფილა. ის ამას ყოველთვის აკეთებდა – ზოგჯერ, სიმბოლურად, კამერების წინაც გვესალმებოდა. ამჯერად დამოუკიდებლად ცნობის დღე არც წერილობით, არც სიტყვიერად არ მოგვილოცა – დიმიტრი მედვედევი ასლან ბჟანიას ტელეფონით ესაუბრა და მორჩა!

დიახ, 2008 წელს სწორედ მედვედევი ითვლებოდა რუსეთის პრეზიდენტად, თუმცა ახლა მისი პოზიცია საკმაოდ მოკრძალებულია – ის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეა.

პუტინმა არც აფხაზეთსა და არც სამხრეთ ოსეთს არ მიულოცა ეს დღე. არ შეიძლება იმის თქმა, რომ დააავწყდა.

ზოგადად, ეს სიტუაციიდან გამომდინარე დაიგეგმა, რომ ბიძინა ივანიშვილსა და ქართულ ოცნებას“ არ ეწყინოს“, – საჯაროდ დაწერა ინალ ხაშიგიმ.

მაშასადამე, რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში აფხაზი ჟურნალისტი-ანალიტიკოსის დასკვნაა, რომ ვლადიმირ პუტინმა ბიძინა ივანიშვილს და, ზოგადად, „ქართულ ოცნებას“ არ აწყენინა, მაგრამ არ ჩანს, ეწყინათ აფხაზებსა და ოსებს თუ გაუკვირდათ? თუ მხოლოდ წყენაზეც არ არის საუბარი, რაღაც აიმღვრა „შოკოლადნი ატნაშენიაში“?

რუსეთისა და ერთი-ორი ქვეყნის მიერ, ისიც რუსეთის საამებლად და წამხედურებით აღიარებულ საქართველოს ორ რეგიონს დამოუკიდებლობის აღიარების მე-16 წლისთავი არ მიულოცაო პუტინმა და სულ ეს არის აფხაზური ე. წ. მხარის ემოცია და ანალიზი?

ნამდვილად არ ვიცი, დანარჩენმა „მაღიარებლებმა“: ნიკარაგუამ, ნაურუმ, სირიამ და, რაც „მთავარია“, საქართველოს ოპოზიციის თვალისჩინმა, ვენესუელამ მიულოცეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის დღე, თუ კვლავ პუტინს მიბაძეს, მაგრამ ნეტავ, რა გაუკვირდა პატივცემულ ანალიტიკოს ჟურნალისტს?

იმას აღარ გავიმეორებ, ამ 15 წლის განმავლობაში რუსეთის მხრიდან ვითომ პატრონობის, რეალურად კი უპატრონობისგან რას დაემსგავსა ოდესღაც აყვავებული აფხაზეთი, მხოლოდ ვიკითხავ: რატომ გაპარტახდა, მას ხომ ჰყავს პატრონი, თანაც ორი – თვით აფხაზეთი და რუსეთი?

ანალიტიკოსობა არ მჭირდება იმის გასააზრებლად, რომ პირველს – აფხაზეთს საკუთარი თავის მიხედვის არანაირი რესურსი არ აქვს, მეორეს – რუსეთს აფხაზეთი მხოლოდ სავაჭრო საგნად უნდა – საეჭვო „საქმეში“ ჩადოს ფინანსები?... აფხაზეთი რუსეთისთვის საქართველოსთან ერთად არის მნიშვნელოვანი, ცალკე აფხაზეთი არაფერს აძლევს, მით უმეტეს, გავერანებული...

იმასაც გავიხსენებ, რაც გასულ წელს, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ ოფიციალურად ითქვა და „გლეხურად“ ასეა: დამოუკიდებლობა ხომ გინდოდათ და იყავით დამოუკიდებელი, ჩვენ რას ჩამოგვკიდებიხართ, უკვე 15 წელიაო? და აფხაზეთისთვის დაფინანსების შეკვეცის თაობაზე საკითხი წამოიჭრა...

ამასთანავე, დავძენ, რაც ახლახან იყო – 9 მაისს, მოსკოვში, წითელ მოედანზე, სამხედრო აღლუმზე დასასწრებად გადამთიელი აფრიკელი ლიდერები დაპატიჟეს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს (ვისაც სურს, ოსეთი იგულისხმოს) არსებობა კი „დავიწყდათ“. ეს არ „გაუკვირდათ“ აფხაზეთში? – არ მახსენდება, პატივცემულ ინალს ეს რომ აღენიშნოს.

რაც საკუთარი თვალით არ მინახავს და არ მომისმენია, დამტკიცებით ვერ ვიტყვი, მაგრამ საქართველოსთვის სასიამოვნო ჭორად კი გავიმეორებ. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი შოიგუმ ცხინვალის რეგიონი რომ მოინახულა და ე. წ. მესაზღვრეებს შეხვდა, საკუთარი საქმე მოითავა, ქუდი შეატრიალა და წავიდა. ხმად გამოსული ამბის მიხედვით, სამაჩაბლოს დე-ფაქტო პრეზიდენტის სატელეფონო ზარი დასწვია მოკრძალებული პრუტენზიის სახით, მე რატომ არ მინახულეო? შოიგუს მიუხლია, მე საქართველოში ვიყავი ჩასული და შენ რა შუაში ხარ, რატომ უნდა მენახეო?!

შემდეგ რა მოხდება, ისიც ადვილი სავარაუდებელია, – როგორ მარტივადაც მიიღეს მათი დამოუკიდებლობა, ისევე მარტივად თვითონვე ათქმევინებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ რიგით მოქალაქეებს, არ გვინდა საქართველოსგან დამოუკიდებლობა, ეს რა ცუდი რამე ყოფილა, ერთეულები ამოიყორნენ, ჩვენ კი დავიმშიეთო.

აფხაზეთის ე.წ. ელიტას რა? რა და, ასლან ბჟანიასა და რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, დიმიტრი კოზაკის შეხვედრის დროს გაჟღერებული მუქარის საქმით განვრცობა, რაც აფხაზეთისთვის დაფინანსების შეწყვეტას და აფხაზი ე. წ. პარლამენტარებისთვისა და „ოპოზიციური დეპუტატებისთვის“ რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევას გულისხმობს – ამ ამბებს მე ხო არ ვიგონებ, აფხაზური მედია წერს...

სხვათა შორის, რუსისთვის აფხაზიცა და ქართველიც ქართველი და საქართველოა, ხოლო ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი, ერთი მთლიანი – კავკასიელი!.. სრულებით არ აინტერესებს ფართო წრის რუსეთს, როდის შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე ან პირველი აფსუა, ან სომეხი და აზერბაიჯანელი, აქ არიან და კავკასიელები არიან...

ამიტომაც იყო, რომ როდესაც აფხაზეთის დელეგაცია ხრუშჩოვთან შევიდა სათავისო ამბის გამოსაწყობად საქართველოს ტერიტორიაზე, მათაც იგივე მიახალა ხახოლმა ნიკიტამ, რაც საქართველოსთვის იყო გამიზნული, – აზიაში, ყაზახეთში, ცელინოგრადში გადასახლება და რუსეთის მოიმედე აფხაზები უკანუკან წავიდნენ კარისკენ.

მთლად ცელინოგრადში არა, მაგრამ ვინ დაუშლის რუსეთს, რომ ახლა კავკასიის მთებისკენ მიუთითოს აფსუებს, დონისკენ – ოსებს, აფხაზებს კი შეახსენოს, რომ მათ შეუძლიათ საქართველოში ისევე იცხოვრონ, როგორც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ?

სრულებით არ ვფანტაზიორობ! რაც მინდა და იმთავითვე ვიცი, რომ ასეც იქნება ერთ მშვენიერ დღეს და ამ დღეს აუცილებლად მოვესწრები, წინსწრებით გიზიარებთ, სულ ეს არის.

პატივცემული ინალი აფხაზეთის სეპარატისტული მხარის წარმომადგენელია და, შესაბამისად, ერთ ჰანგზე ამღერდნენ საქართველოს კრებსითი ოპოზიციონერები აფხაზეთიდან და შუაგული თბილისიდან, ნახეთ, რუსეთმა ივანიშვილს არ აწყენინაო; იმდენი „ეპადხალიმნენ“ რუსეთს, რომ პუტინმაც გამოუგორა კოჭიო.

კარგი, ქართველი უსამშობლოები რა ნესტრითაც არიან ნაჩხვლეტი, ვიცით, მაგრამ აფხაზების იმ ნაწილს რაღამ გადაუგლისა ტვინი, ვისაც არ გაუხარდა, რომ არავის ჩიჩინს არ ავყვეთ, ზეწოლას არ წავუწექით და არ შევვარდით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საომრად? კარგად მახსოვს, ჩვენ რომ ღიად მოგვიწოდებდნენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შევვარდნისკენ, ახლა კარგი დროა დაკარგული ტეიტორიების დასაბრუნებლადო, რა პანიკა ატყდა აფხაზეთში, ომი იწყება, ქართველები შემოგვივარდებიანო.

...ამდენი ქუჩიდან განურჩევლად შერეკილი რომ არის პოლიტიკაში და რატომღაც კი არა, პოლიტიკოსები გამიზნულად დაარქვეს, იმიტომ არის, რომ დიპლომატია და „პადხალიმი“ ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისგან; ამიტომ ვერ არჩევენ, რა განსახვავებაა ამ ორ მოწოდებას შორის: „სწორება საქართველოზე!“ და „სწორება საქართველოს კოლონიზატორზე!“

ამიტომ ერევათ ცოფი საქართველოს უსამშობლოებს, როცა საქართველო სწორ ნაბიჯებს დგამს და საფუძველს უყრის ყველასთან ყველანაირ დიპლომატიურ კავშირებს;

ეს რომ არ მომხდარიყო, ამიტომ უნდოდათ ომი საქართველოში ყალბი ქოლგის ქვეშ – დასავლეთი დაგვიცავს!

საქართველოში წარმოებულ უსამშობლოებს „აღმოჩენა“ აღმოუჩენიათ, რომ „ივანიშვილისა და პუტინის რუსეთი“ სულაც იმიტომ არის ცუდი ქვეყანა, რომ არ ასრულებს დანაპირებს, მუდმივად იტყუება და ღალატი სჩევია.

კი, ბატონო, რიგ შემთხვევაში ასეა და არ შევუდგები ყველა ღალატის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაშლას, უბრალოდ, ვიკითხავ: რომელ ქვეყანას არ სჩევია საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ სხვისი ინტერესების ფეხზე დაკიდება? (ასეთი საქართველო მეგულებოდა და რადგან ასე აღარ იქცევა და არც მომავალში აპირებს ასე მოქცევას, იმიტომაც არის ატეხილი ასეთი ამბავი).

უპირობისა და ღალატის მაგალითისთვის შორს არ წავალ, ამჟამინდელს არ გავცდები: როგორ იყო უკრაინის ამბავი, რუსეთმა უთხრა, ოღონდ ბირთვული იარაღი მომეცი და შენი უკრაინიდან პირდაპირ კარზე მომაყენე კოლექტიური დასავლეთის სამხედრო ნაწილები ნატო-ს სახით, მე ვიყო არაკაცი, თუ მეწყინოს და გავფაჩუნდეო?

დადასტურებული ამბავია, რომ აშშ, ბრიტანეთი და საფრანგეთი დადგნენ თავდებში, გადაეცი, უკრაინავ, რუსეთის ფედერაციას ბირთვული იარაღი, შენი ტერიტორიული მთლიანობის გარანტი აგერ ვართო. დაუდგნენ გარანტად და წერტილმძიმეთი ასრულებენ ყველა იმ პირობას, რაც ხელშეკრულებაში ჩაიდო? – როგორც სავანაში წამოქცეულ ანტილოპას გლეჯენ ყველა მხრიდან აფთრები, ისე დაესიენ საბრალო უკრაინას...

კი, ასრულებენ პირობას, როგორ არა! – ნეტავ, რომელ ხელშეკრულებაში ეწერა, რომ, როცა ტერიტორიული მთლიანობის გარანტად დაგიდგებით, გარანტიას ვერაფრისას მოგცემთ, მაგრამ რა დახმარებასაც გაგიწევთ, იმის 90% ვალად დაგეწერებათ და თუ ვერ გადაიხდით, სულ ჰექტრობით მივითვლით მთელ უკრაინასო? – უამრავი მაგალითის ჩამოთვლაა შესაძლებელი, რაც „პირიანი ქვეყნების“ მწარე პირგამტეხლობას დაადასტურებს...

არა და არა! „ოცნების“ ხელისუფლება უნდა დაემხოს რუსეთთან საქართველოს ომით ან უომრად! მთავარია, დაემხოს და ომიც იქნება! – ასეთია უცხოეთიდან უწყვეტ ნაკადად შემოდინებული საჯაშუშო ფულის ამთვისებელი უსამშობლო ქართველების სურვილი.

მშობლებს და მეზობელ სახელმწიფოებს ვერ ირჩევენ. ორივე ისეთი მყარი მოცემულობაა, ვერაფრით შეიცვლება. ამდენად, როდესაც სხვა გზა არ არსებობს, ურთიერთსასარგებლო და ყველანაირ ურთიერთობაზე უნდა ააგო კეთილმეზობლური თანაცხოვრება. მშვიდობის გარანტი მხოლოდ მშვიდობის სიყვარულია!..

მიზეზ-მიზეზ, რომ დოს მარილი აკლიაო, საჩხუბრად ამაზე მარტივ მიზეზს ვერ მოძებნის უტვინო კაცი, მაგრამ ტკბილი სიტყვით გველი ხვრელიდან ამოჰყავს გონიერ ადამიანს და მთაში ირემს წველის, მეორე ადამიანთან დალაპარაკება ვერ უნდა შეძლოს მესამე ადამიანის შიშით?

მოკლედ, ისე მოვედით დღევანდელ დღემდე, ორ წელში ორი სისხლიანი დაპირისპირება ავირიდეთ სამოქალაქო ომის სახით და, შესაბამისად, არდამდგარი მძიმე შედეგიდან გამომდინარე, მესამე – ომი რუსეთთან. ახლა კვლავ ზამბარასავით დაჭიმულები ვართ ყველანი, საქართველოსა და ქართველობის ერთგული დარაჯებიცა და ფულზე გაყიდული უსამშობლოებიც – მაყურებლები გამადიდებელი შუშით გვაკვირდებიან...

27 ოქტომბრიდან, გარე და შიდა დამკვირვებლებიდან ზოგი აღშფოთდება, ზოგი შეშფოთდება და ზოგიც სამკუთხედს მოიხაზავს ნიკაპზე, მე კი ჩემსას ვიტყვი: პუტინმა თვალი პოლიტიკურად ჩაგვიკრა!

გაპარტახებულ აფხაზეთზე მოკლედ ვთქვი, თავი არ შეგაწყინეთ და იმ აფხაზეთის შენთვის ოკუპანტი და აფხაზეთისთვის მფარველი რომ შენ გიკრავს თვალს, ფსიქოლოგიური გაშიფვრით ძალზე საინტერესოა.

პოლიტიკური თვალის ჩაკვრა პოლიტიკური ფლირტია, რომელიც ერთგვარი საიდუმლო სიგნალია იმ ადამიანისთვის (ქვეყნისთვის), ვისთვისაც არის განკუთვნილი, თუმცა, ყოველთვის ის ღია საიდუმლოა მსოფლიოსთვის, რომელსაც ვერაფერს მოუხერხებს, თუ ვინმემ ვინმეს თვალი ჩაუკრა...

თვალის ჩაკვრა შეიძლება, შემსრულებელსა და მიმღებს შორის შეთქმულების შეთავაზებას ნიშნავდეს;

არ მგონია, საკითხავი იყოს, რომელი თვალი ჩაუკრა პუტინმა საქართველოს, მაგრამ მაინც დავაკონკრეტებ, მარცხენა თვალის ჩაკვრა ემოციური მდგომარეობის გამოვლინებაა, მარჯვენასი – გონებისა. ჰოდა, მარჯვენა ჩაუკრავს...

დარჩა ოხრად მიხეილ სააკაშვილის ზუსტად ხუთი წლის წინათ, 2019 წლის სექტემბრის დასაწყისში ნაწინასწარმეტყველები, ოდესაში რომ „აბოლებდა“ საქართველოდან ჩაყვანილ „გამორჩეულ“ ახალგაზრდებს. ცოტა არ იყოს, ვერც მაშინ გავიგე და არც ახლა მესმის, მაგრამ გამახსენდა და გაგახსენებთ, ერთგვარად სააშიკო-სალაღობოა: „პუტინმა უთხრა ივანიშვილს ორი თვის წინ, თუ შენ არ გამოაცხადებ ნეიტრალურ სტატუსს, 31 დეკემბრამდე მე მოვახდენ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ანექსიასო – ზუსტად ისე, როგორც ყირიმის ანექსია მოახდინა – თქვენ ამაზე ივანიშვილი არ გიყვებათ, რადგან საერთოდ არ ფიქრობს, რომ თქვენ წინაშე ანგარიშვალდებულია, მაგრამ მე ვალდებული ვარ, გითხრათ, იმიტომ, რომ ეს ზუსტად ვიცი... ივანიშვილი რას შვრება, იმის მაგივრად, რომ თქვენ მოგიყვეთ და მოგმართოთ, ხალხო, ასეთი პრობლემა მაქვსო? – გადაყენა თავდაცვის მინისტრი, რომელიც არ მოსწონდათ რუსებს, – არც მე მომწონდა, მაგრამ რუსებს კიდევ უფრო მეტად არ მოსწონდათ (ვფიქრობ, ლევან იზორია იგულისხმება. – ავტ.) და დანიშნა ღარიბაშვილი თავდაცვის მინისტრად; გახარია, რუსეთის საგარეო დაზვერვის აგენტი დანიშნა პრემიერ-მინისტრად და ფიქრობს, რომ როგორმე რუსები დაწყნარდებიან, მაგრამ კრეტინია და არ ესმის, რომ ეს პუტინს არ დაეკმაყოფილებს“.

რადგან ასე აბოჟირდნენ, ამ ეტაპზე ისე ჩანს, რომ პუტინმა საქართველოსთვის თვალის ჩაკვრით თვალში თითი ჩაჰკრა ყველას, ვინც ავად უმზერდა საქართველოს.

წინ, საქართველო!

ზურა ოვხერელი

ატესტატთან ერთად პროფესიის დამადასტურებელი დიპლომი - საჯარო სკოლებში საპილოტე პროექტი იწყება!

„იპოვე საქმე, რომელიც შენია“! — ამ ინიციატივით, მიმდინარე სასწავლო წლიდან, საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, სასურველი პროფესიული მიმართულება აირჩიონ და სკოლაში სწავლის პარალელურად, შერჩეულ პროფესიას დაეუფლონ. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ წელს პირველად მისცა შესაძლებლობა პროფესიული განათლებით დაინტერესებულ მოსწავლეებს, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ინტეგრირებულ სასურველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სკოლის ბაზაზე დაეუფლონ და სასკოლო ატესტატთან ერთად პროფესიის დამადასტურებელი დიპლომიც აიღონ.

ინიციატივაში, საქართველოს მასშტაბით, საპილოტედ შერჩეული 20 საჯარო სკოლაა ჩართული. პროექტში ჩასართავად წინასწარ შეირჩა და მომზადდა როგორც სკოლები, ასევე 300-მდე მასწავლებელი, რომლებიც საჯარო სკოლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფენ. მათ შორის ერთ-ერთი სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლაა, სადაც ორი ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება.

რას ითვალისწინებს აღნიშნული ინიციატივა, რა კრიტერიუმებით შეირჩა სკოლები საპილოტე პროექტისთვის და დაბრუნდება თუ არა საატესტატო გამოცდები სკოლაში, ამის შესახებ სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის დირექტორი *irma kapanaZe* გვესაუბრება:

- ახალი სასწავლო წლიდან ჩვენს სკოლაში ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა იწყება. პროექტი მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს საშუალებას მისცემს სკოლაშივე, სრული ზოგადი განათლების პარალელურად, დაეუფლონ პროფესიას, ორი წლის შემდეგ კი მიიღონ სკოლის საშუალო საფეხურის დასრულების დამადასტურებელი ატესტატი და პროფესიული კოლეჯის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი. ატესტატი არის საფუძველი იმისა, რომ უმაღლეს სასწავლებელში განაგრძონ სწავლა, ამავე დროს, ექნებათ პროფესიის დამადასტურებელი საბუთიც.

პროფესიული განათლების ინტეგრირება საჯარო სკოლებში, პროფესიული უნარების სააგენტოს ხელშეწყობით, წელს პირველად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, ბატონი გიორგი ამილახვარის ინიციატივით ხორციელდება. პროექტის მიზანია სკოლის ბაზაზე პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და გაუმჯობესება. აღნიშნული ინიციატივა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის პოპულარული და მაღალანაზღაურებადი პროფესიების შესწავლის შესაძლებლობას და სთავაზობს მათ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, რომელშიც ჩართულნი არიან დარგის წამყვანი სპეციალისტები. სწავლების პერიოდში გათვალისწინებულია სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებები, სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიითა და ლაბორატორიებით. სწავლა სრულად დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ. სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს მაღალანაზღაურებად სამსახურში, წამოიწყოს საკუთარი ბიზნესი ან განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების საფეხურზე.

- კონკრეტულად რომელი პროფესიის დაუფლებას შეძლებენ მოსწავლეები თქვენი სკოლის ბაზაზე? რის მიხედვით შეირჩა პროგრამები?

- ექვსი შემოთავაზებული პროგრამიდან სკოლას ჰქონდა ორი ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის საშუალება. მოსწავლეებში ჩატარებულ გამოკითხვებსა და ბაზრის კვლევებზე დაყრდნობით, ჩვენ ავირჩიეთ გრაფიკული დიზაინი და დეკორატიული მებაღეობა, - იგივე ბაღის დიზაინი. მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილი, შეუჩერდებათ მოსწავლის სტატუსი და ჩაირიცხებიან პროფესიულ ინტეგრირებულ პროგრამებზე, სადაც ზოგადი განათლების საგნებს კვლავ ჩვენი სკოლის მასწავლებლები ასწავლიან, ხოლო დარგის მოდულებს უხელმძღვანელებენ წარმატებული სპეციალისტები, რომლებიც სკოლამ კვალიფიკაციისა და დარგში მიღწეული წარმატებების შედეგად შეარჩია. პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველი არის მე-10 კლასის დასრულება და, რასაკვირველია, პროფესიის შესწავლის სურვილი. სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს ჩვენს მოსწავლეებს, ასევე შესაძლებელია, სხვა სკოლის მოსწავლეებიც გახდნენ ჩვენი პროფესიული სტუდენტები.

მომავალი სასწავლო წლიდან, უკვე ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, საბაზო საფეხური მეათე კლასის ჩათვლით მოიაზრება და სავალდებულო სწავლებაც 1-ელ-მე-10 კლასებს მოიცავს. აქამდე ჩვენ ვახორციელებდით 3 საგანმანათლებლო საფეხურს: დაწყებითს, საბაზოსა და საშუალოს, ახლა კი დავიმატეთ მე-4 საფეხური ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების სახით. აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხულ მე-11-კლასელებს უკვე მოსწავლეები კი არა, პროფესიული სტუდენტები ჰქვიათ, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი მათ აღარ ექნებათ კონკრეტულ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების სურვილი, შეუძლიათ, მოსწავლის სტატუსი აღიდგინონ და სწავლა სკოლაში განაგრძონ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყურადღება პრაქტიკულ მუშაობით სწავლებას ეთმობა. მინისტრის ინიციატივით, 20-ივე სკოლა უმაღლესი დონის ტექნიკითა და სასწავლო მასალით აღიჭურვა, სადაც შექმნილია იმიტირებული სასწავლო გარემო. სამინისტრომ, პროფესიული განვითარების სააგენტოსა და ინფრასტუქტურის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, სასწავლო ოთახები გაარემონტა და თითოეულ სტუდენტს პროფესიის სრულფასოვნად დაუფლების ინდივიდუალური საშუალება მისცა. პროექტი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ახალგაზრდამ დრო არ დაკარგოს. ორი წლის შემდეგ კი, ვისაც აკადემიური ცოდნის მიღების სურვილი ექნება, მე-5 საფეხურსაც დაიმატებს და სწავლას უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობს, სადაც მათ შეუძლიათ აირჩიონ როგორც იგივე, ასევე სრულიად განსხვავებული მიმართულება და სწავლაც უკვე თავიანთი შემოსავლით დაიფინანსონ.

- რა კრიტერიუმების დაკმაყოფილება იყო საჭირო იმისათვის, რომ ერთ-ერთი საპილოტე სკოლა გამხდარიყავით?

- შერჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი იყო ის, რომ სკოლა უნდა ყოფილიყო სრულად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო ნაწილში. საჩხერის პირველმა სკოლამ პირველივე ეტაპზე მოიპოვა ავტორიზაცია. გავიარეთ ასევე, პროფესიული პროგრამების ავტორიზაციაც, რითაც მოვიპოვეთ მათი განხორციელების უფლება. გარდა ამისა, სკოლას უნდა ჰქონდეს სწავლების განსახორციელებლად შესაბამისი ფართი და უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს. ამჯერად, სკოლის ინფრასტრუქტურიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, თითოეულ პროგრამაზე შეგვიძლია 15-15 სტუდენტი მივიღოთ. როგორც აღვნიშნე, თითოეულ სტუდენტზე შესაბამისი ფართობი, ოთახი და ტექნიკაა ინდივიდუალურად გათვალისწინებული.

დარწმუნებული ვარ, საპილოტე პროექტი გაამართლებს, სხვა სკოლებშიც დაინერგება და სასურველ შედეგს გამოიღებს. ეს არის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი, რადგან ხშირად უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოდიან ახალგაზრდები, საკუთარ თავს ვერ პოულობენ პროფესიაში და მხოლოდ ამის შემდეგ ეუფლებიან კონკრეტულ პროფესიულ საქმიანობას. ასეთი პრეცედენტი უკვე მრავლადაა ჩვენს რეალობაში. გარდა ამისა, საქართველოში დღეს სანთლით საძებნია საქმის პროფესიონალი, საქმის მცოდნე ადამიანები სხვადასხვა მიმართულებით და ჯერ კიდევ არსებობს სტიგმა, რომ თითქოს ყველას უმაღლესი განათლება უნდა ჰქონდეს და, რომ პროფესიულ სასწავლებლებში „სუსტი“ მოსწავლეები გადადიან, რომლებსაც უმაღლესი განათლების მიღების შანსი არა აქვთ. იმედია, აღნიშნული პროექტი ამ სტიგმასაც დაამსხვრევს. ეს პროგრამა არანაირად არ უშლის ხელს უმაღლესი განათლების მიღებას, პირიქით - მეტად თავდაჯერებული, მეტად მხრებგაშლილი შეაღებს პროფესიული სტუდენტი უკვე უმაღლესი სასწავლებლის კარს!

მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს იმისათვის, რომ ყურადღება მიაქცია ამ მეტად საჭირო მიმართულებას, პროფესიულ განათლებას და განსაკუთრებული ფინანსები და რესურსი სწორედ ამ ნაწილის განვითარებისკენ მიმართა.

- წლებია, სკოლებში საატესტატო გამოცდები გაუქმდა, მე-12 კლასი კი, ფაქტობრივად, მხოლოდ ფორმალურად არსებობს. არ მიგაჩნიათ, რომ ეს ერთი წელი მხოლოდ დანაკარგია ახალგაზრდებისთვის?

- საქართველოს განათლების სისტემა 2005 წელს ბოლონიის დეკლარაციას შეუერთდა. აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით სახელმწიფოებმა გამოხატეს საერთო მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღოთ უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მიერ გაცემული ატესტატი სრულ შესაბამისობაშია ევროპის ქვეყნების განათლების სისტემასთან. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მე-12 კლასში მოსწავლეები აღარ დადიან, ამაზე, დიდწილად, სწორედ საატესტატო გამოცდების გაუქმებამ იმოქმედა. როგორც კი საშუალო საფეხურზე ე. წ. კატის გამოცდები მოიხსნა, მალევე დაეტყო ამის უარყოფითი შედეგი სკოლას. რასაკვირველია, საატესტატო გამოცდები იგივე ფორმატით ვეღარ დაბრუნდება, მაგრამ უკვე მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია, სადაც სკოლებში საატესტატო გამოცდების დაბრუნებაც არის გათვალისწინებული. იცვლება საშუალო საფეხური და შესაბამისად, იგეგმება ცვლილებები მრავალი მიმართულებით, თუმცა, როგორ და რა ფორმით ჩატარდება საატესტატო გამოცდები, ამაზე ჯერ კიდევ მსჯელობა მიმდინარეობს. ასევე აუცილებლად არის შესაცვლელი ეროვნული გამოცდების ფორმატი, რამაც, ჩემი აზრით, ასეთი სახით თავისი მისია უკვე ამოწურა. ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია ამ ცვლილებასაც ითვალისწინებს.

ნონა ქარქაშაძე

კოზმასა და დამიანეს სალოცავიდან „დევის ხვრელამდე“

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ #27-28)

— საბჭოთა პერიოდში, რიკოთის უღელტეხილზე, უბისის ეკლესიის გადასახვევთან ხიდის მშენებლობა წამოიწყეს, რომელიც რამდენიღაც წელი გრძელდებოდა, მაგრამ საზოგადოებისთვის უცნობი მიზეზის გამო მისი მშენებლობა შეაჩერეს. ამდენი დრო გავიდა და დღესაც ისევეა აჩონჩხილი და მიტოვებული.

ახლა ჩინელებმა რომ წამოიწყეს იმავე მიდამოებში მშენებლობა/გზის გაყვანა, განცხადებით მივმართე შესაბამის უწყებას, რომ ადგილმდებარეობის შესწავლის გარეშე იმ ადგილებში არ წამოეწყოთ ნგრევა. არ გასულა დიდი დრო და ჩამოინგრა მათი წამოწყებული მშენებლობა იმ გზაგასაყარზე, მსხვერპლიც იყო.

ათას რამეს დამწამებენ, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიტყვი: იმის გაგებრება ეზარებათ, რასაც თვითონ გიჩვენებს მოცემულობა. საბჭოთა კავშირის დროს მშენებლობა თვითონ შეაჩერეს რაღაცის გამო — კომუნისტები არ იყვნენ ის ჰაი-ჰარა ხალხი, რომ რამე წამოეწყოთ და არაფრის გამო მიეტოვებინათ; ახლა ისევ წამოიწყეს მიმდებარედ და ჩამოინგრა — ეჭვი ხომ უნდა გაგიჩნდეს, ამ ადგილზე „რამე ისეთი“ ხომ არ არისო?

უბისა-შორაპანის მონაკვეთი სოფელ ძირულასთან სწორედ ის ადგილებია, რაზეც ვსაუბრობდით და რა არის აქ ძნელი გასაგები? იმათ გეზი აქვთ აღებული, რომ გზა უნდა გაიყვანონ და სხვა არაფერი აინტერესებთ. ამ გზის გაყვანის დროს თუ საქართველოს ისტორიის რაღაც მონაკვეთებს წაშლიან, ჩინელებს რომ არ ანაღვლებდეთ, გასაკვირი არ არის, მაგრამ ქართველი რომ ხარ, შენ რატომ არ გაინტერესებს? უხვი ნალექის მოსვლას აბრალებენ ფერდის ჩამოშლას — რაღაცის ჩამოშლით და ძირის გამოცლით მოგცემს უფალი ნიშანს, აბა, თვითონ ხომ არ გამოგეცხადება!..

— თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს „რამე ისეთი“?

— არტეფაქტები, რომელთა განადგურებასაც უფალი არ უშვებს!

რანაირი უწიგნური უნდა იყო, რომ არ გვჯეროდეს ჩვენი გალაქტიკის გარდა სხვა გალაქტიკებისა და იქ არსებული სხვა სიცოცხლეების, რეალობის არსებობა...

სამყაროს შექმნას უფალმა ექვსი დღე მოანდომა და მეშვიდე დღეს დაისვენაო — რანაირად უნდა გეგონოს ეს დრო ჩვენეული ექვსი დღე? ეს არის პერიოდები, რა დროსაც ვითარდებოდა სამყარო და მოვედით ადამიანამდე. ჩანასახებს თუ დაკვირვებიხართ, ერთი-ერთზე როგორ მეორდება მსგავსება სხვადასხვა სულიერების ჩანასახებს შორის — ათასი უბედურების მოგონებაზე რომ ხარჯავ დროს, ამაზე იმუშავე!..

კოზმანი და დამიანეს სალოცავამდე დევისხვრელიდან 30-კმ-იანი გადასასვლელი რომ არის მიწისქვეშეთში, რატომ არ უნდა დაინტერესდე და არ შეხვიდე გამოსაკვლევად?

— გამოკვლეულია გასული საუკუნის 30-იან წლებში, არქეოლოგმა გიორგი ნიორაძემ გამოიკვლია...

— რა გამოიკვლია, რაო...

— ის, რომ დევისხვრელში აღმოჩენილი ნაშთები ზედა პალეოლითს მიეკუთვნება, 40-35 ათასი წლის წინანდელ ეპოქას და კიდევ ბევრი რამ, ვთქვათ, მისი სიგრძე-სიგანე, სიმაღლე...

— მე ჩემი წინაპრებისგან ამბად ვიცი, რომ ამ 30-კმ-იანი გასასვლელიდან რამდენიმე ამოსასველი არის მიწის ზედაპირზე. არცთუ შორეულ წარსულში ასეც მომხდარა, რომ მონადირემ კურდღელი ააგდო და კურდღელი დევისხვრელში რომ შევარდა, მწევარიც მიჰყვა. ელოდა მონადირე თავის ძაღლს, ელოდა და რას ხედავს, კარგა ხნის შემდეგ სულ სხვა მხრიდან მორბის მისი ძაღლი — მაშასადამე, ამოსასვლელი ყოფილა სადღაც, ხომ ასეა?

ლამის საუკუნის წინათ, რისი საშუალებაც იყო იმ დროს, იმით იკვლევდა ის კაი კაცი დევისხვრელს და ვერ გაიწია 40 მეტრზე მეტი. ამიტომ, მისი ნათქვამი ბეჭედია, დევისხვრელი გამოკვლეულია და დამთავრდა საქმე, ამოიწურა საკითხი?

კიდევ გეტყვით, სხვამაც იციან ეს ამბავი — მონადირემ მელას მწევარი დაადევნა და ორივე დევისხვრელში რომ გაუჩინარდა, სოფელ მირონწმინდაში აღმოჩდნენ და იქ დაიჭირა მწევარმა მელა. ესე იგი, ნამდვილად გადის დევისხვრელი მირონწმინდაში და რანაირად არის მღვიმის სიგრძე 40 მეტრი?

მიზეზთა გამო მე არ ვყოფილვარ შიგნით, მაგრამ ვინც იყო, მისგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამოქვაბულის ბოლოში არის აკლდამა, რომელიც სამი საფეხურით ჩადის მიწაში. ვარაუდობენ, რომ ჟამიანობის დროს აქ აფარებდა თავს მოსახლეობა, მაგრამ ის ცხოველები და მათზე დადევნებული ძაღლები საიდან გადიან და გზად რა არის, არ არის საინტერესო?



— არ გედავებით, პირიქით, გეთანხმებით — მღვიმის სტალაქტიდურ ზედაპირზე არსებული ზოლები დევის ბრჭყალებს მიაწერეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, მაგრამ თვით არსება „დევი“ რომ არსებობს უძველესი ადამიანის შემეცნებაში, ეს მეჩვენება უმნიშვნელოვანესად. ამ ადგილს უხსოვარი დროიდან ჰქვია დევისხვრელი და იქნებ სწორადაც რომ დევების თანადროულია? ასეთ შემთხვევაში, აღარც 30-კმ-იანი გვირაბის გათხრა გამიკვირდება. თუმცა, ნამდვილად არის თუ არა ასეთი გვირაბი, დადასტურებულად არ ვიცით...

— ამაშია საქმე!

— რაც დევისხვრელში აღმოჩნდა, იმას გვეუბნება, რომ იქ შეფარებული ადამიანები უკვე დაუფლებულები იყვნენ ქვის იარაღების, უფრო კი კაჟის დამუშავების საკმაოდ მაღალ ტექნიკას, მაგრამ იმ იარაღებით კლდეებში გვირაბებს ვერ გამოჭრიდნენ... მიუხედავად ამისა, გოლიათებზე რომ ვფიქრობ, დევის ხვრელიდან სხვაგან რომ გადიოდეს ამოსასვლელები, არ მიკვრის, მასე, ინსტინქტით, მელაც რამდენიმე გასასვლელს უკეთებს თავის სოროს...

— მე კიდევ ერთი ამოსასვლელი ვიცი — კაკულიას გორა ჰქვია, სარგვეშია, მდინარე ყარნების (მდინარე ჩხერიმელას მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. ისტორიულ წყაროებში სარგვეში პირველად XVIII საუკუნიდან იხსენიება გერმანელი მოგზაურის გიულდენშტენდტის მიერ, მაგრამ 1917 წელს, მიწის დამუშავების დროს აღმოჩენილია განძი, რომელიც III საუკუნით თარიღდება, „სარგვეშის განძის“ სახელწოდებით დაფიქსირდა და რომელიც ვერცხლის ბარძიმის, ოქროს სამი ბეჭდის, თვლებით გაწყობილი სამაჯურის, ოქროს ხატისუღელისა და ვერცხლის კოვზისგან შედგება. ვერცხლის ბარძიმზე გამოსახულია სასანიანთა დინასტიის მეფეთ მეფე ბაჰრამ (ვარაჰტან) II, მისი მეუღლე და ტახტის მემკვიდრე. ბარძიმი 283-293 წლებით თარიღდება და იმდენად უნიკალურია, რომ ანალოგი არ მოეპოვება თვით ირანშიც. განძი დაცულია საქართველოში.

მე ხომ არ ვიგონებ ამბებს, ამას საიდანღა ამბობენ იქაურები, რომ ოხნარის კლდეში გადიოდა გზა მეზობელი სოფლების, ღორეშისა და საბის გვირაბებიდან და ასევე უკავშირდებოდა დევისხვრელს?

— ხარაგაულის მიწისქვეშეთი ძალზე დიდი ინფორმაციის მატარებელია, მაგრამ თითქოს ტაბუ ადევს, არავინ ესწრაფვის მის თანდათანობით გახსნას მაინც... ჯერ მხოლოდ რაც აღმოჩენილია: ბეჟათუბნის ბრინჯაოს ნივთების განძი, რომელიც ძვ. წ. XI-X სს-ით თარიღდება; ლაშის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ვერძის მინიატურული ქანდაკება, რომელიც ძვ. წ. VII-V სს. განეკუთვნება; ბორის განძი, რომელიც ძვ. წ. III და ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნით თარიღდება; სარგვეშის ნეკროპოლი...

— ამას ვამბობ სწორედ! არ შეიძლება, ასე მისდგე ყველაფერს და იმის გამო, რომ თბილისიდან ზღვაზე ერთი საათით ადრე გინდა ჩასვლა, შენი ქვეყნის საუკუნეების ისტორია წაშალო...

2020 წლის 20 იანვარს განცხადებით მივმართე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ქალბატონ მაია ცქიტიშვილს, სადაც მოკლედ მოვახსენე იმის შესახებ, რომ დღევანდელ გვირაბებს, შესაძლოა, გადაეკვეთათ ხარაგაულის რაიონში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები. ჩემი მხრიდან ვთავაზობდი თანადგომას და საქმის არსში უკეთ გარკვევას. განცხადებას ერთვოდა საინფორმაციო რუკაც.

საქართველოს საავტომონილო გზების დეპარტამენტიდან პასუხად მივიღე, რომ ზემოთხსენებული სამინისტროდან მათთან შევიდა ჩემი განცხადება და მოახდინეს რეაგირება — გამაგებინეს, რომ მიმართეს კრებსით ბაბანჯუებს.

— ვერ გავიგე...

— მეც რომ ვერ გავიგე, ამიტომ ასე დავარქვი. შე დალოცვილო, საქართველოში ქართველი ქართველს რომ რომელიღაც უცხო ენაზე მწერ, მე რა გავიგო?

— მათგან რა პასუხი მიიღეთ...

— დღემდე ველოდები პასუხს...

მეტრო „რუსთაველის“ ბაქანზე, ჩასასვლელიდან ხელმარჯვნივ, მესამე ბოძზე, მარმარილოში დაახლოებით 400 მლნ წლის წინანდელი (პალეონტოლოგები ასე ათარიღებენ) ნამარხი ნიჟარაა, ჭიათურაში მოჭრილი მარმარილოში — რას ვარაუდობენ, გვერდზე გადავდოთ. ღორეშაში, ჩემი სახლის საფუძველის დამუშავებისას ტექნიკამ ციცხვით ამოაგდო ფშვნადი კლდის მასა, რომლის დამსხვრევისას ხელში შეგვრჩა გაქვავებული მოლუსკი, რომელმაც ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაიდო ბინა...

ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ტრანსკონტინენტური საავჭრო-საქარავნო გზა ჩინეთს შავ და ხმელთაშუა ზღვებთან აკავშირებდა. ორი განშტოებიდან ერთი კასპიის ზღვით უკავშირდებოდა ამიერკავკასიას, გადაკვეთდა საქართველოს და ფასისიდან შავი ზღვით ბიზანტიასა და რომს უკავშირდებოდა. დღევანდელი ხარაგაულის რაიონზე გადიოდა ერთ-ერთი უძველესი საავჭრო-საქარავნო გზა...

— მხოლოდ ეს? — გიგანტების ჩონჩხები ხარაგაულის მთებში კიდევ ცალკე გამოსაკვლევი საკითხია...

— რა თქმა უნდა!..

მაია ჯელიძე

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლო გამჭვირვალობის კანონის შესახებ

იმ ფონზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში გამჭირვალობის კანონის შესახებ დავა მიმდინარეობს, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაზე საუბარს.

საზოგადოებამ მეტი უნდა იცოდეს იმის შესახებ, თუ რა ტიპის დავებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო და რას შეიძლება ელოდოს მისგან, ამიტომ შევეცდებით დეტალურად მივყვეთ მისი ფუნქციის განხილვას.

ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურას და დანიშნულებას შევეხებით, ვინც პირდაპირი ეთერით თვალ-ყურს ადევნებდა გამჭირვალობის კანონის საქმის განხილვას, დამეთანხმება, ალბათ, რომ სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ არაერთხელ შეახსენა მხარეებს, რომ არ გასცდენოდნენ დავის ფარგლებს და რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ იყო პოლიტიკური განცხადებების გაკეთების ადგილი. გვახსოვს მოსამართლეთაგან საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის, ეკა ბესელიას მისამართით გამოთქმული პრეტენზიებიც, მაგრამ ყოფილი ადვოკატი მაინც განაგრძობდა იმის მოყოლას, თუ რა სიკეთე მოაქვს ევროპას.

ამბობენ, კანონთან ხუმრობა არ შეიძლება და მისი შექმნაც ლამაზი მოთხრობის წერას არ ჰგავსო, რადგან მასზე ადამიანების მომავალია დამოკიდებული.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები აღსრულების ნაწილში სვამდნენ შეკითხვებს, მისი აღსრულება ხომ არ დაარღვევდა სხვა უფლებებს, მათ შორის, კომერციული საიდუმლოებების კუთხით, რომლის შესახებაც საკონსტიტუციო სასამართლო თავის საბოლოო ვერდიქტში აუცილებლად იმსჯელებს.

იურისტებს გვინახავს კანონები, რომლებიც ვერ აღსრულდება. მოქმედი კანონმდებლობით, როცა დავა სასამართლოში გადადის, ბუნდოვანების თავიდან აცილებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის გასაჩივრება და მათ შორის, შეჩერებაც სწორედ ეს საკითხები წამოსწია წინ საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელზეც პასუხის გაცემას იუსტიციის სამინისტრო მცდელობას არ აკლებდა, მაგრამ ახლა ყველაფერი უმაღლესი ორგანოს შეფასებაზეა დამოკიდებული – არის თუ არა კანონის გამჭირვალობის შესახებ არაკონსტიტუციური.

ცნობისათვის: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის ქვეყნების სასამართლოებთან, კარგად იცნობენ მათ პრაქტიკას და დარწმუნებული ვართ, გადაწყვეტილებაც ადეკვატური იქნება.

ახლა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია გვინდა მიმოვიხილოთ.

რა ტიპის დავებს იხილავს საკონსტიტუციო სასამართლო

საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს დავას: სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის შესახებ, დავას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ, ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის (საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) საკითხებთან მიმართებით, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს.

რამდენი წევრისგან შედგება საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 9 მოსამართლისაგან შედგება. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა 10 წელია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თავისი მოვალეობების განხორციელებისას დამოუკიდებელია. კონსტიტუციით უზრუნველყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ხელშეუხებლობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ ფარული კენჭისყრის დროს წარდგენილ კანდიდატს მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5-მა წევრმა. საკონსტიტუციო სასამართლო ასევე ირჩევს თავმჯდომარის ორ მოადგილესა და მდივანს თავისი შემადგენლობიდან, იმავე ვადით, რა ვადითაც აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის და მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი. კოლეგიის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი წევრი.

რა ტიპის დავებს იხილავს პლენუმი

პლენუმი იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებებისმიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებზე, ასევე იხილავს რეფერენდუმის, ასევე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას, იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს. ამასთან, იძლევა დასკვნას საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი იხილავს საერთო სასამართლოს მიერ წარდგინებად წოდებულ სარჩელებს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება, როდესაც კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც მან უნდა გამოიყენოს ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ.

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია განიხილავს:

დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის შესახებ; დავას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ; ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის (საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) საკითხებთან მიმართებით; საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს. საქმეს, რომელიც მოიცავს როგორც პლენუმის, ისე კოლეგიის განსჯად საკითხებს, იხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

სწორედ პლენუმი განიხილავს სადავო კანონს, რომლის მიმართაც საერთაშორისო ყურადღება არ ცხრება.

ლევან ჭიღლაძე

P.S. „საერთო გაზეთი“ ყოველთვის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგას. ჩვენ არ არ შემოგთავაზეთ აღნიშნული საქმის დეტალური სამართლებრივ შეფასება, ვინაიდან საკითხი მეტად სპეციფიკურია. საბოლოო სიტყვა მაინც საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა თქვას.

როცა მადლობის სათქმელად სიტყვები არ გყოფნის

ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. რამდენიმე დღის წინ ასეც მოხდა ჩემს ცხოვრებაში, როდესაც ავარიაში მოვყევი. აღარ მსურს იმ წუთების გახსენება, გარდა იმ სასიამოვნო მოგონებებისა, რომლებიც ამ სამწუხარო გარემოებას ახლდა თან.

ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა, მისი მედპერსონალი არაფრით ჩამოუვარდება ევროპულს. ამიტომაც არის, რომ არაერთი ჩვენი თანამემამულე ექიმი საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებში მოღვაწეობს.

მედიცინა მეტად დასაფასებელი დარგია. ვფიქრობ, რომ ის სხვა დარგზე მეტად უნდა იყოს ანგარიშგასაწევი, რადგან ადამიანის ჯანმრთელობას ემსახურება. არ დამენანება მადლიერების სიტყვები პირველი კლინიკური საავადმყოფოს ექიმ-ტრამვატოლოგების **გოჩა და მურად გაბრიაძეების (მამა-შვილი)** მიმართ, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს ჩემი გამოჯანმრთელებისთვის. სწორედ ასეთ პროფესიონალებზე დგას ჩვენი ქვეყანაც.

მადლობა ოთარ კერვალიშვილს და „საერთო გაზეთის“ მთელ კოლექტივს მხარდაჭერისთვის და გვერდში დგომისთვის.

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს!

ლევან ჭიღლაძე

ჩვენს დიდი ხნის ერთგულ მეგობარს, სათნო და კეთილშობილ ქალბატონს, ქეთინო ბურდულს ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

„საერთო გაზეთი“

საოცარი დამთხვევები

დედამიწაზე ბევრი რამ არის ამოუცნობი, მათ შორის ამბები, რომლებსაც ადამიანებმა „საოცარი დამთხვევები“ დავარქვით, ახსნა კი არ მოეძებნება. მაგალითად 11 სექტემბრის ტრაგედია:

1. სახელწოდება ნიუ-იორკი New York City 11 ასოსგან შედგება;
2. სახელწოდება ავღანისტანი/ავღანეთი Afghanistan ასევე 11 ასოსგან შედგება;
3. იმ ტერორისტის სახელი, რომელმაც ჯერ კიდევ 1996 წელს დაგეგმა ეს იყო Ramsin Yuseb იყო და მისის სახელიც 11 ასოსგან შედგება;
4. აშშ-ის იმჟამინდელი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის სახელია George W Bush და ასევე 11 ასოსგან შედგება;
5. ნიუ-იორკის შტატი რიგით მე-11 შტატად არის მიჩნეული;
6. თვითმფრინავი იყო II;
7. ტერაქტი მოხდა 11 სექტემბერს, ანუ 11.09 — 1+1+9=11;
8. აშშ-ის გადაუდებელი დახმარების სამსახურის ნომერი 911 — 9+1+=11;
9. აფეთქებული თვითმფრინავის ბორტზე მგზავრთა რაოდენობა 254 იყო, ანუ 2+5+4=11;
10. 11 სექტემბერი წელიწადის 254-ე დღეა — 2+5+4=11;
11. თვით „ტყუპების“ ვიზუალი — რიცხვი 11.

ნაპოლეონი და ჰიტლერი

ნაპოლეონი ხელისუფლებაში 1804 წელს მოვიდა, ჰიტლერი — 1933 წელს, სხვაობა 129 წელი;

ნაპოლეონი ვენაში 1812 წელს შევიდა, ჰიტლერი — 1941 წელს, სხვაობა 129 წელი;

ნაპოლეონმა ომი 1816 წელს წააგო, ჰიტლერმა 1945 წელს, სხვაობა 129 წელი;

ნაპოლეონიც და ჰიტლერიც ხელისუფლების სათავეში 44 წლისა მოექცნენ;

ნაპოლეონიც და ჰიტლერიც 52 წლისანი იყვნენ, როდესაც რუსეთს დაესხნენ;

ნაპოლეონმაც და ჰიტლერმაც ომი მაშინ წააგეს, როცა 56 წელი შეუსრულდათ.

ლინკოლნი და კენედი

ლინკოლნი აშშ-ის პრეზიდენტი 1860 წელს გახდა (ინაუგურაცია 1861 წ)

კენედი აშშ-ის პრეზიდენტი 1960 წელს გახდა — სხვაობა 100 წელი;

ლინკოლნიც და კენედიც პარასკევ დღეს მოკლეს;

ლინკოლნიც და კენედიც მეუღლეების თანდასწრებით მოკლეს;

ორივე თავში ტყვიის სროლით მოკლეს;

ლინკოლს სასიკვდილო ტყვია თეატრ „კენედიში“ ესროლეს, კენედი ავტომობილ „ლინკოლნში“ მოკლეს;

ორივე სამხრეთელი იყო;

ორივე „დემოკრატი“ იყო;

პრეზიდენტობამდე ორივე აშშ-ის სენატორები იყვნენ;

ჯონ უილკის ბუტი, რომელმაც ლინკოლნს ესროლა, 1839 წელს იყო დანადებული;

ლი ჰარვი ოსვალდი, რომელმაც კენედის ესროლა, 1939 წელს იყო დაბადებული — სხვაობა 100 წელი;

ბუტისა და ოსვალდის გვარ-სახელების ასოთა რაოდენობა ინგლუსურად, ორივესი 15-ია;

ლინკოლნის მკვლელობის შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტი ენდრიუ ჯონსონი გახდა;

კენედის მკვლელობის შემდეგ აშს-ის პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი გახდა;

ენდრიუ ჯონსონი 1808 წელს იყო დაბადებული, ლინდონ ჯონსონი – 1908 წელს. სსხვაობა 100 წელი;

ედგარ პო



1838 წელს ედგარ პომ დაწერა „არტურ გოდონ პიმის თავგადასავალი.“ ნაწარმოებში მოთხრობილია ამბავი ოთხი ადამიანისა, რომლებიც გემის ჩაძირვის შემდეგ ერთი ნავის იმედად დარჩენილები არიან ღია ზღვაში და შიმშილისგან დაოსებულმა სამმა გადარჩენილმა მეოთხე გადარჩენილი შეჭამა. ნაწარმოებში შეჭმული მსხვერპლის გვარ-სახელია რიჩარდ პარკერი.

გავიდა წლები და 1884 წელს ხომალდი „მაგნონეტი“ ჩაიძირა. შიკვდილს ოთხი ადამიანი გადაურჩა და ერთი ნავის იმედად დარჩნენ გაშლილ ზღვაში. სანგრძლივი შიმშილის შემდეგ სამმა მათგანმა მეოთხე გადარჩენილი შეჭამა. რეალური მსხვერპლის გვარ-სახელი რიჩარდ პარკერი იყო.

მულტსერიალი „სიმპსონები“

მულტსერიალმა „სიმპსონებმა“ 1989 წლიდან დაიწყო არსებობა და არაერთი ფაქტის „წინასწარმეტყველება“ გამოუვიდათ. ღასაც ახლა ჩამოგითვლით, ის მცირე ჩამონათვალია, რაც მულტსერიალის სცენარისტებმა „განჭვრიტეს“ და ახდა.

1. COVID-ის ეპიდემია იწინასწარმეტყველეს ჯერ კიდევ 1993 წელს, სერიალის მე-4 სეზონში (ეპიზოდი 21). პროგნოზი ახდა 2020 წელს.
2. „ტყუპების კოშკებზე“ თავდასხმა ნახსენები იყო 1997 წელს, მე-9 სეზონში (ეპიზოდი 1), წინასწარმეტყველება ახდა 2001 წელს.
3. სიმპსონებმა „იწინასწარმეტყველეს“ ტრამპის პრეზიდენტობა მე-11 სეზონში (2000 წლის 17 ეპიზოდი). ტრამპი პრეზიდენტი 2016 წელს გახდა.

რანაირადაც უნდა მივუდგეთ ლოგიკით, შეუძლებელია ამ ფაქტების ახსნა... მათ 2024 წლისთვისაც აქვთ პროგნოზები“ და მას შემდეგაც. საინტერესოა, მათი „პროგნოზებიდან“ რა ახდება შემდგომში?

4. 2024 წლისთვის მრავალი წლის წინ ისევ იწინასწარმეტყველეს ტრამპის გამარჯვება 2024 წლის არჩევნებში - რის შემდეგაც, როგორც იტყვიან, მნიშვნელოვანი არეულობა (სამოქალაქო ომი) უნდა დაიწყოს და „თავისუფლების ქანდაკება“ ჩამოინგრევა და წავა წყლის ქვეშ.
5. ასევე, 2024 წელს დაგეგმილი საფრანგეთის ოლიმპიური თამაშების (რაც უკვე შესრულდა) შესახებაცაა საუბარი და ეს ჯერ კიდევ 2014 წელს ივარაუდეს.
6. სიმპსონებმა აჩვენეს „აღდგენილი“ სსრკ-ს 2024 წლის რუკა, რომელიც მოიცავს 15-ვე ყოფილ რესპუბლიკას, მათ შორის უკრაინას, საქართველოს და ბალტიისპირეთის ქვეყნებს. რუკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კავშირში ფინეთი, შვედეთი და ნორვეგიაც შედიან.
7. ასევეა „ნაწინასწარმეტყველები“ ტეხასის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა (2025-2026 წლებში).

კიდევ არაერთი „დამთხვევაა“ ცნობილი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ეს იყოს, იმდენად ტევადია ინფორმაციულად, ვფიქრობ, საკმარისია...

მაკა ჯაყელი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასაგალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99